


16 მარტის შაბდი დღე ქათმათა გუდაურში!..

დასაგებულთა გუდაურში სარჯებს „ქორორტების განვითარების კომპანია“ ანაზღაურებს

გუდაურში, საბაგიროს ავარიულად გაჩერებასთან დაკავშირებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განმარტა, რომ მთის კურორტების განვითარების კომპანია სრულად უზრუნველყოფს დასაგებულთა მკურნალობის ყველა სარჯის ანაზღაურებას.

გუდაურში სათხილამურო ტრასაზე პირველადი ინფორმაციით საბაგირო ავარიულად გაჩერდა და უკუსვლით ამოძრავდა, რის შედეგადაც, წინასწარი მონაცემებით, 11 მოქალაქე დაშავდა, დაზიანებები საშუალო სიმძიმისაა. ადგილზე დაუყოვნებლივ მივიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხილამურე პატრულები, ადგილზე მუშაობდა სამი სასწრაფოს ბრიგადა, რომლებსაც დაშავებულნი გადაიყვანეს ჯერ გუდაურის ამბულატორიაში, ხოლო შემდგომ რეანომობილებით დედაქალაქში.



ბაგირო და მისი ყველა პარამეტრი შემონმეზული იყო.

„საბაგირო და მისი ყველა ნორმა იყო შემონმეზული. საკმაოდ ცნობილი და ავტორიტეტული გერმანული კომპანიაა, რომელმაც დაამონტაჟა აღნიშნული საბაგირო. საბაგიროს ყველა პარამეტრი შემონმეზული იყო. მომხდარის შედეგად ყველა დეტალი იქნება შესწავლილი. ჩვენთან ვლექტროენერჯის გათიშვაზე არ შემოსულა ინფორმაცია. მსგავსი შემთხვევა, რომ ყოფილიყო, პირიქით, საბაგირო გაითიშებოდა. საბაგირო არ გაითიშა და ეს იყო პრობლემა, თუმცა თუ გაითიშებოდა, არ იქნებოდა მსგავსი პრობლემა შექმნილი“, – განაცხადა ზაუტაშვილმა.

„ენერგო-პრო ჯორჯია“: ძაბვის პარამეტრების სვალეზადობა ან რაიმე სახის სხვა შეფერხება არ მოხდარა!

„ენერგო-პრო ჯორჯია“ ხაზგასმით აცხადებს, რომ გუდაურის საკურორტო ზონაში სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ქსელში არანაირი ავარიული გათიშვა, ძაბვის პარამეტრების ცვალებადობა ან რაიმე სახის სხვა შეფერხება არ მოხდარა“, – ნათქვამია კომპანიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ელექტროენერგია რომ გათიშულიყო, საბაგიროს გაითიშებოდა!

მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფო რწმუნებულის ლევან ზაუტაშვილის ინფორმაციით, გუდაურში სა-

„ამ კლინს სერიოზული პასუხისმგებლობები დადგება!“

„ამ ვიქტორი, რომ ამ ძალიან სერიოზული პასუხისმგებლობები დადგება“ – ეს განცხადება ეკონომიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა გუდაურში მომხდართან დაკავშირებით გააკეთა. მინისტრი შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა და შექმნილ ვითარებას გაეცნო. ქუმსიშვილის თქმით, გამოცხადებულია მაქსიმალური მობილიზაცია.



რაც შეეხება საბაგიროს მდგომარეობას, ქუმსიშვილი ამბობს, რომ გამოძებამ უნდა გამოავლინოს პასუხისმგებელი პირი და უნდა მოხდეს უკვაძრესად დასჯა – „რაც მოხდა ეს იყო უბედურება“ – აცხადებს ქუმსიშვილი. მისივე თქმით, საბაგირო გზა შემონმეზული იყო და მას შემონმეზა დეკემბერში ჩაუტარდა.

ო, ამერიკა, ამერიკა!

გიორგი მარგველაშვილი: საქართველომ ყველა ნაქირი ვალდებულება და მოთხოვნა შეასრულა ნატოში გასაწევრებლად, რაც თავად ნატოს მიერასაა აღიარებული

– Foreign Policy: რა მოლოდინები გაქვთ ამ ვიზიტთან დაკავშირებით?
– ჩვენ ნამდვილად მოველით ჩვენს ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას და გაძლიერებას. გასულ წელს საკმაოდ შთამბეჭდავი თანამშრომლობა ჩამოგვიყალიბდა, ვიცე-პრეზიდენტისა და სენატორების ვიზიტის გათვალისწინებით, რომელიც შესაბამისი დეკლარაციებით დაგვირგვინდა. ჩვენ ასევე უნდა აღვნიშნოთ სამხედრო თანამშრომლობა. ეს ყველაფერი ძალიან პოზიტიურია, მაგრამ ეს პროცესი გაგრძელებას საჭიროებს. მოდით ასე ვთქვათ: ჩვენ დავინახეთ საქართველოს მხარდაჭერა, მაგრამ ეს მხარდაჭერა არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ რუსეთი უკრაინასთან შეჩერებულიყო.
– ვაშინგტონში, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საქართველოს შესახებ, ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ნატოს გაფართოების კონტექსტში. ფიქრობთ, რომ საქართველო კვლავ ნატოს გზაზეა და თუ ასეა, რამდენად შორს არის ამ გზაზე?
– მე თქვენს მხრივ წელია, რაც ჩვენ მივმართავთ ნატოს და მე-

ათე წელია, რაც ნატო საქართველოს დაჰპირდა, რომ ქვეყანა გახდებოდა ალიანსის წევრი. ამ ათი წლის განმავლობაში საქართველომ ყველა ნაკისრი ვალდებულება და მოთხოვნა შეასრულა, რეფორმების თუ სხვა ნებისმიერ კონტექსტში და ქვეყნის მიღწევები აღიარებულია ნატოს მიერ. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ბრძოლის ველზე ერთად ვიმყოფებით. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ გლობალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მაშინაც კი როდესაც ჩვენ თვითონ არ ვსარგებლობთ გლობალური უსაფრთხოების უპირატესობებით. სწორედ აქ ვიმყოფებით ასლა.
– როგორ შეაფასებდით თქვენს დღევანდელ ურთიერთობას მოსკოვთან და როგორ ფიქრობთ, მიიღებთ ტრამპის ვაშინგტონისგან იმას, რასაც მოელის?
– სიტუაცია მოსკოვთან შეფერხებულია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რაღაც მომენტში, მოსკოვი დაძაბულობისა და დაპირისპირების მაგივრად, საქართველოში, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და რუსეთში მცხოვრები ხალხთათ-

ვის უკეთესი მომავლის პერსპექტივას აირჩევს. მაგრამ არ მიგვაჩნია, რომ რუსეთის ისტორიის ეს დრო და ფაზა არის სწორედ ის მომენტი, როდესაც რუსეთის უმაღლეს ნიშნებში ასეთი განწყობა ჩამოყალიბდება. პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის წინასაარჩევნო კამპანიაში საპირისპიროს, ცივი ომის რიტორიკას ვხედავთ.
რაც შეეხება დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას, როგორც აღვნიშნე, 2017 წელი მთლიანად დადებითი იყო. მე მესმის თქვენ მიერ დასმული კითხვა და კონტექსტი და ჩემი პასუხია, რომ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებზე პოზიტიურია.
– თქვენ ახსენებთ რუსეთის პოლიტიკა უკრაინის მიმართ. როდესაც ამ სიტუაციას უყურებთ, ფიქრობთ, რომ „ათ წელში ყირიმში იგივე მდგომარეობა იქნება, იგივე მდგომარეობა იქნება აღმოსავლეთშიც“, როგორც მიგაჩნიათ სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებით?
– ვიმედოვნებ, რომ შეერთე-

ბული შტატების პოლიტიკური ნრეები გაიზარდებენ სიტუაციას. ხანდახან მესმის განცხადებები, რომ „ცივი ომის წამოწყება შეუძლებელია, რადგან საბჭოთა კავშირთან შედარებით, რუსეთს არ ჰყავს ძლიერი სამხედრო ძალა და არ გააჩნია ეკონომიკა“. რეალური ცივი ომი არ ყოფილა სტრატეგიული სარაკეტო ომი, ეს იყო ომი პოლიტიკაში, მარიონეტული ომები. ასეთი იყო ცივი ომი. მე ვიზარებ სიტუაციას. რუსეთი ძალიან პირდაპირია. ისინი გულწრფელნი არიან თავიანთ განცხადებებში. ისინი გულწრფელნი არიან თავიანთ საგარეო პოლიტიკურ მიზნებში. თუ ჩვენ ვიზარებთ ამ ყოველივეს, მაშინ საქართველო, უკრაინა და სხვა ქვეყნები, რომლებიც შეიძლება იყვნენ რუსეთის დომინირების პოტენციური სფეროები, უნდა იყვნენ ნატოსა და ევროკავშირში განევრებულნი და შეერთებულ შტატებთან დაახლოებულნი, რათა არ შექმნათ პოტენციური კონფრონტაციის სფეროები.
– მიხილთ სააკაშვილი უკრაინიდან გამოაძევეს და ის პოლო-



ნეთში დაბრუნდა. საქართველო კვლავ ცდილობს იმის ექსტრადირებას?
– გულწრფელად რომ გითხრათ, ეს პროცედურები ჩვეულებრივი, წარმართება პროკურატურის, პოლიციის, ან შესაბამისი სახელმწიფოს მსრიდან. მე ვიცი, რომ მისი ექსტრადიცია მოითხოვს უკრაინაში, მაგრამ არ ვიცი, იგივე მოხდება თუ არა სხვა სახელმწიფოებთან.
– ფიქრობთ, რომ ეს უნდა მოხდეს?
– მჯერა, რომ ორჯერ არჩეულ პრეზიდენტს გააჩნია პასუხისმგებლობა, რომ პატივი სცეს სახელმწიფო ინსტიტუტებს... ამიტომაც არ გავამართლე, ის, რომ მან საქართველოს მოქალაქეობაზე განაცხადა უარი და უკრაინის მოქალაქე გახდა. არ მიმაჩნდა, რომ ეს სწორი საქციელი იყო. ის იყო ქვეყნის მთავარსარდალი და საქართველოს პრეზიდენტი ორი ვადით, შესაბამისად, ის უნდა პასუხისმგებდეს კითხვებს. ის პატივს უნდა სცემდეს ქვეყნის სახელმწიფო ინსტიტუტებს.
„Foreign Policy“ (აშშ)

საქართველო ნატოს წევრი აუსილატად MAP-ის გავლით უნდა გახდეს

ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში გააკეთა.

„ბრიუსელის სამიტიდან საქართველო მოელის იმას, რომ მოხდება ძალიან წარმატებული პარტნიორობის აღიარება, რაც ნატომ და საქართველომ განვლეს ამ წლებში განმავლობაში. ჩვენი ამბიცია არის ძალიან ნათლად დაფიქსირებული. გვაქვს ყველა მექანიზმი, საქართველო ყველა მოთხოვნაში, რაც ნატოსგან არსებობს, არის საუკეთესო ასპირანტა შორის, აქ კითხვის ნიშნები არ არსებობს. არის ფორმატი, რომ ნატო არის კოლექტიური გადაწყვეტილებების მიმღები სტრუქტურა, ნატოს გარდა, ჩვენ სხვა უსაფრთხოების არჩევანი არ გვაქვს. ნატო გვიფიქსირებს ჩვენ შემდეგ პროცედურულ დინამიკას – ჩვენ აუცილებლად MAP-ის გავლით უნდა გავხდეთ ალიანსის წევრები. ჩვენი ამბიცია არის წევრობა და MAP-ი არის აუცილებელი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას“, – აცხადებს გიორგი მარგველაშვილი.

პარლამენტში რეზოლუციის საერთო ტექსტზე შეთანხმდნენ

საპარლამენტო უმრავლესობა და ოპოზიცია რეზოლუციის საერთო ტექსტზე შეთანხმდნენ, – ამის შესახებ „ევროპული საქართველო“ წევრმა სერგი კაპანაძემ განაცხადა. მისი თქმით, ეს იქნება რეზოლუცია, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციის ქმედებებს დაგმობს. ასევე, მისივე თქმით, რეზოლუცია პასუხისმგებლობას დააკისრებს რუსეთის ფედერაციას და შეიმუშავებს კონკრეტულ ინსტრუმენტებს.

„პარლამენტის ფარგლებში კონსულტაციები დავასრულეთ და გვაქვს საერთო შოზიცია, რომ მივიღებთ ერთ რეზოლუციას, რომელიც შექმნის ოთხოპოზიცი-ტაქტურ-ნაშეილის სახის, რომელიც მოხვდება ყველა ის ადამიანი ვინც არის პასუხისმგებელი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანების უფლებების დარღვევებზე.

გარდა ამისა, ეს იქნება რეზოლუცია, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციის ქმედებებს დაგმობს. რეზოლუცია პასუხისმგებლობას დააკისრებს რუსეთის ფედერაციას და შეიმუშავებს კონკრეტულ ინსტრუმენტებს, როგორც აღვუდგეთ მსგავს სამარცხვინო და ტრაგიკულ ფაქტებს. ჩვენ დავასრულეთ კონსულტაციები, პრაქტიკულად შეთანხმებული ვართ პრინციპებზე და საერთო ტექსტზე, დაგვრჩა რაღაც კონკრეტული ტექნიკური საშუალები დასამთავრებელი, რასაც, ალბათ, შემდეგ რამდენიმე დღეში დავამთავრებთ და როგორც ჩანს, შემდეგ ოთხშაბათს მივიღებთ ამ ერთიან რეზოლუციას“, – განაცხადა კაპანაძემ.



თომას მარკერტი: საქართველო ნამდვილად გააღება ნაბიჯი სრულფასოვანი საპარლამენტო დეპუტატისკენ

ძალიან მოხარული ვარ საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, რომ ახლა საქართველომ ნამდვილად გადადგა ნაბიჯი სრულფასოვანი საპარლამენტო დემოკრატიისკენ. თქვენ გაქვთ ძალიან კარგი კონსტიტუცია, რომელიც ეფუძნება ვენეციის კომისიასთან ძალიან კარგ თანამშრომლობას, – ამის შესახებ ვენეციის კომისიის მდივანმა თომას მარკერტმა განაცხადა.

სის მდივანმა თომას მარკერტმა განაცხადა.

მან წუხილი გამოთქვა, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა 2020 წელს ვერ მოხდება. „საქართველომ სრულფასოვანი საპარლამენტო სისტემაზე გარდაქმნა დაასრულა. ეს არის გრძელვადიანი საფუძველი დემოკრატიული განვითარებისთვის. როგორც იცით, ჩვენ ვწუხვართ, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა ვერ მოხდება 2020 წელს და მოხდება 2024 წელს. ეს იყო დაბრკოლება საზოგადოებასთან და ოპოზიციასთან კონსულტაციის მისაღწევად. თუმცა, ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ ამ რეფორმის შედეგით“, – განაცხადა თომას მარკერტმა.



ციფრული აპრეზიუმის გზით...

საქართველომ მუშაობა დაიწყო უმნიშვნელოვანეს პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს აბრეზიუმის გზის ერთიან ციფრულ ბაზართან ჰარმონიზებას.

პროექტის მიზანია, საქართველომ, როგორც თანამედროვე აბრეზიუმის გზის ეპიცენტრში მდებარე სახელმწიფომ, დააჩქაროს ქვეყნის განვითარება ციფრული მიმართულებით, რათა საქართველო გახდეს ვაჭრობის ელექტრონულ ტექნოლოგიებში რეგიონის ლიდერი და მთავარი მოთამაშე ქვეყანა.

2018 წლის 16 მარტს, აღნიშნული იდეის პრეზენტაცია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში, „ახალი აბრეზიუმის გზის“ საკითხებში საქართველოს სპეციალურმა წარმომადგენელმა, ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორმა მიხეილ ბატიაშვილმა პირველად ბიზნესისა და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებით დაინტერესებულ ახალგაზრდებთან გამართეს.



აბრეზიუმის გზის ერთიანი ციფრული ბაზრის არსებობა უზრუნველყოფს ციფრული საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას, გაზრდის ეკონომიკურ აქტივობებს და საფუძველს დაუდებს ახალი სტარტაპებისა და ლაბორატორიების შექმნას. ასევე, შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და ხელს შეუწყობს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას.

პროექტის განხორციელებისთვის უახლოეს პერიოდში შეიქმნება საერთაშორისო ტექნოლოგიური კონსორციუმი წამყვანი ტექნოლოგიური კომპანიების მონაწილეობით და დაინიშნება ტექნოლოგიური პლატფორმის შექმნა, რომელიც რეგიონული მასშტაბით, პროექტში მონაწილე ქვეყნებს ერთმანეთთან დააკავშირებს. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების კუთხით არსებული პოტენციური იძლევა საშუალებას, მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიოთ ქვეყნის ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით.

ბათუმში დავით აღმაშენებლის ქეიპი დაიღებება

ამის შესახებ „ქართული მარშის“ ბათუმის მერსა და საკრებულოს თავმჯდომარის დახურული შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი.

„არც ყოფილა და არც არის იმ ფაქტთან დაკავშირებით, მოუხდება თუ არა და უნდა იყოს თუ არა ქეიპში დავით აღმაშენებლის ძეგლი იქიდან გამომდინარე, რომ ნებისმიერ საქართველოს ქალაქს დაამშვენებს და ნებისმიერი ქალაქისთვის იქნება პატივი, ჰქონდეს

დავით აღმაშენებლის ძეგლი,“ – განაცხადა შეხვედრის შემდეგ ბათუმის მერმა ლაშა კომახიძემ.

აჭარა – შიდა ტურიზმის მქა

აჭარაში შიდა ტურიზმისთვის ერთ-ერთი ყველაზე მონახულებადი რეგიონია. „საქსტატის“ მონაცემებით, 2017 წელს აჭარაში ვიზიტების რაოდენობამ 136.1 ათასი შეადგინა, რაც ჯამური ვიზიტების 12.9%-ია. ამ მაჩვენებლით ავტონომიური რესპუბლიკა TOP-3-შია, თბილისის და იმერეთის შემდეგ.

ალსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანია ზრდა წლიურ ჭრილში. 2016 წელს რეგიონს 100.5 ათასი შიდა ვიზიტორი სტუმრობდა, მთლიანი ვიზიტორების 11.5%.

შიდა ვიზიტები 2017 წელს 87.5 ათასმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მცხოვრებმა განახორციელა, ანუ მთლიანი ვიზიტორების 10.1%-მა. 2017 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა 1.053 მილიონი იყო. აღსანიშნავია, რომ ვიზიტებით ძალიან კმაყოფილია ამოკითხულთა 33,3% კმაყოფილი კი, 49.5%, არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილო 14.3%, ძალიან უკმაყოფილოები კი, გამოკითხულთა 0.4%-ს შეადგენენ.

ფუტკრისა და თევზის დააპაღებები...

ბარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული ლაბორატორიის სპეციალისტები ქ. დუშეთში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ფერმერებს შეხვდნენ და ფუტკრისა და თევზის დაავადებებზე პრაქტიკული ინფორმაცია მიანოდეს.

ფუტკრისა და თევზის დაავადებებზე დროული დიაგნოსტიკა შესაძლებლობას აძლევს ფერმერს, ანალიზის შედეგების საფუძველზე, გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ჯანსაღი პროდუქტის საწარმოებლად. ჯაჭვური პრინციპით მოქმედება კი ეფექტურ შედეგებს იძლევა, როგორც მომხმარებლებისთვის, ასევე ფერმერებისათვის. ლაბორატორიის ვეტერინარმა სპეციალისტმა გაგა ოსიაშვილმა დაინტერესებულ პირებს დაწვრილებით მიანოდა ინფორმაცია, თუ რა უნდა მოემოქმედონ მათ, იმისათვის რომ სხვადასხვა დაავადებებით გამონეული ზარალი თავიდან აიცილონ. დუშეთის რეგიონული ლაბორატორიის უფროსმა გია ჩქარეულმა კი რეგიონული მასშტაბით დანერგილი სიახლეებზე ისაუბრა.



აღნიშნული შეხვედრების მიზანია სოფლის მეურნეობაში ჩართული დაინტერესებული პირებისათვის ლაბორატორიული კომპონენტის ნაწილში ცოდნის გაღრმავება. ასევე, უშუალო ინტერაქცია კონკრეტულ მომხმარებლებთან. მომხმარებელთა მოთხოვნის საფუძველზე ლაბორატორიის ჯგუფმა გამოსცა ფუტკრისა და თევზის დაავადებებზე საცნობარო ლიტერატურა, რომელიც რეგიონში მცხოვრებ ფერმერებს შეხვედრის დასრულების შემდეგ გადაეცათ.

როდის შეიქმნება ბოლოს თბილისის საბაგიროები?

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მონაცემებით, დედაქალაქში მოქმედ ორ საბაგიროს რიყე-ნარიყალას და კუს ტბას ავარიულ მუხრუჭებზე შემონემა ყოველდღიურად უტარდება.

ნამუშევარი საათების მიხედვით რიყე-ნარიყალას საბაგირო პერიოდულად ჩერდება და მას დევექტოსკომპი, ვაიტნერის ფირმის წარმადგენელეთან ერთად კომპლექსური შემონემა უტარდება. ბოლოს ასეთი ტიპის შემონემა რიყე-ნარიყალას 22 ათას 500 საათი მუშაობის შემდეგ ნოემბერში ჩაუტარდა.

თბილისის მერიასში „სითი პარკთან“ შეხვედრა „მუშაობისთვის“ დასრულდა

თბილისის ვიცე-მერი ირაკლი ხმალაძე კომპანია „სითი პარკის“ წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ის ორგანიზაციული საკითხები განიხილეს, რომელიც მომდევნო ერთი თვის განმავლობაში, „სითი პარკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ გატარდება.

შეხვედრაზე საუბარი კომპანიის მხრიდან მოვალეობების გადაბარების პროცესს შეეხო. ასევე აღნიშნა, რომ 10 აპრილამდე პარკირების სისტემის მარ-


თვას კვლავ „სითი პარკი“ განახორციელებს. 10 აპრილის შემდეგ კი, პარკირების მენეჯმენტს თბილისის სატრანსპორტო კომპანია უზრუნველყოფს.

„შეხვედრის მიზანია, მომდევნო ერთი თვის განმავლობაში, ის ორგანიზაციული დონის ძიებები სათანადოდ გავატაროთ, რომელიც პარკირების სისტემის უწყვეტ რეჟიმში განსახორციელებლად არის საჭირო. ძალიან კარგია, რომ კომპანია კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის არის განწყო-

ბილი. შესაბამისად, ჩვენ რიგი დონის ძიებების გატარება მათთან ერთად მოგვინებს იმისთვის, რომ პროცესების გადმობარება სათანადოდ მოხდეს“, – განაცხადა ირაკლი ხმალაძემ.

„სითი პარკის“ წარმომადგენლებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ გადაბარების პროცესს მაქსიმალურად უზრუნველყოფენ, რათა ქალაქში პარკირების მენეჯმენტი უწყვეტ რეჟიმში განხორციელდეს.

„დღევანდელი შეხვედრა ტექნიკური ხასიათის იყო, სადაც



გადაბარების პროცესთან დაკავშირებით ვიმსჯელებთ. ყველანაირად ვეცდებით, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოთ გადაბარების პროცესი, რომელიც ქალაქში პარკირების მენეჯმენტს არ დააზიანებს“, – განაცხადა კომპანიის იურისტმა ნანუკა ავალიანმა.

შეხვედრას თბილისის მერის მოადგილე მაია ბითაძე, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა მუმლაძე, იურიდიული სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე და თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელი მამუკა კობახიძე ესწრებოდნენ.

სულზე ზრუნვა სახელმწიფოს საქმე არ არის. როდესაც რუსული სახელმწიფო მართმადიდებლურ ეკლესიას შოინის-ტური მიზნებით იყენებს, ის რუსი ადამიანის სულს ეფუძვება. როდესაც დასავლეთი უმცირესობებს, უფროსობებს, მწერლებს, სახელმწიფო დარგის მუშაკებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს იდეოლოგიური მიზნებით იყენებს, ესეც ადამიანის სულზე ზემოქმედების მცდელობაა, რაც ტოტალური წინააღმდეგობის აქტებს ადამიანს.

სული, საზოგადოების ელემენტის — პიროვნების არსებობის საფუძველი, მისი იდუმალი, ღვთაებრივი შემადგენელია, რაც ერის ელემენტის — ინდივიდის უნიკალურობასთან ერთად პიროვნების ბუნებრივ თავისებურებას განსაზღვრავს. სულზე და სულიერებაზე საუბრები უნდა მოვალეობით საზოგადოებრივ განზომილებაში; აზრობრივი კონსტრუქცია საზოგადოების შიგნით უნდა აიგოს. პიროვნებაში პიროვნება უნდა ვიგულისხმოდ და არა — ინდივიდი, ან — მოქალაქე, რომლებიც საზოგადოების ელემენტები არ არიან.

პიროვნება თავის თავისუფლებაში მუდმივ ქმნადობაშია. სულიერების გარეშე ის, სიკეთისა და ბოროტების ორპოლუსიან სისტემაში, ბოროტების პოლუსზე აღმოჩნდება. ასეთ ადამიანს უსაფრთხო გარემო ვეღარ გადაარჩენს; დაკნინებული, ამორალურ, სულიერადადაკარგულ პიროვნებათა ერთობა ინდივიდების ჯოგად გადაიქცევა.

საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელმაც უხეშ მატერიალურ ურთიერთობებში ადამიანის სულზე და სულიერებაზე უნდა იზრუნოს, ეკლესიაა.

ეკლესია იდეური მოვლენაა, ისევე როგორც რელიგია. ადამიანის გონს შეუძლია თითოეულის არსში წვდომა და არსისეული განსაზღვრულობის დადგენა.

ქმნადობის მომენტში ადამიანის გონსა და ღმერთს შორის იდუმალი კავშირის აღიარების შემთხვევაშიც კი, ღმერთი ადამიანის გონს, მხოლოდ მისთვის გასაგებ ენაზე ესაუბრება, სხვა შემთხვევაში დილაოგი ვერ შედგება. ეკლესიის იდეას თავისი მიზნობრივი მიზეზი აქვს, როგორც იდეური მოვლენა, საზოგადოებრივი მოვლენა და მისი მიზნობრივი მიზეზი გახლავთ, მატერიალური სამყაროში ადამიანის სულზე ზრუნვა.

ეკლესია ღმერთს არ ემსახურება. მისი იდეური განსაზღვრულობა არ გახლავთ ადამიანის ღმერთისადმი მონურ მორჩილებაში ჩაყენება. ღმერთის მიზანი შემინებული ადამიანის მუხლებზე ხოხიალი რომ იყოს, უფრო ეფექტურ საშუალებას გამოიყენებდა, ვიდრე მღვდელთმსახურება.

ადამიანი ღმერთმა თავისუფალი შექმნა, ხოლო „თავის ხატად“ შექმნილი უნდა ვიგულისხმოდ, რომ ადამიანი, ღმერთის მსგავსად, შემოქმედია. თავისუფალი შემოქმედის ბუნებრივი დიაპაზონი სიკეთიდან ბოროტებაში დიდია. ადამიანი ბუნებრივად მოძრავია სიკეთისა და ბოროტების ორპოლუსიან სისტემაში და პასუხისმგებლობის გრძობა არეგულირებს მის მოძრაობას პოლუსებზე.

მუდმივ ქმნადობას ადამიანი ღმერთობაში შეჰყავს. ქმნადობა როცა პასუხისმგებლიანია, ადამიანი სიკეთის პოლუსზე მოძრაობს. ამ დროს შემოქმედების ნაცოფი სიკეთით არის გაფლენილი. უპასუხისმგებლო ადამიანი, შეიძლება, ბოროტების პოლუსზე აღმოჩნდეს და მისი შემოქმედების ნაცოფი ბოროტებად გამოვლინდეს. ეკლესია ადამიანში ასეთი გადახრების სადარაჯოზე უნდა იდგეს. მისი იდეური მიზანი ადამიანის გაკეთილშობილებაა, ხოლო


სიკეთეში ქმნადობა გახლავთ ქრისტიანული ყოფნა.

როგორც ხედავთ, ეკლესიის დანიშნულება სულაც არ ყოფილა ღვთისმსახურება, ის კაცთა მსახურია და მისი საზოგადოებრივი ტვირთია, ადამიანის მიყვანა ღმერთთან.

ეკლესია თავის იდეურ დანიშნულებას ვერ შეასრულებს, თუ სასწაულებით სპეკულაციას მიმართავს. ქრისტიანობაში მთავარი სულაც არ არის მისტიკური წარმოდგენებით ადამიანის დათრგუნვა. მთავარი ქრისტეს მოძღვრებაა, რამაც ძე კაცისა ღმერთს

ტებასთან. ორპოლუსიან სისტემაში უპასუხისმგებლო ადამიანს მოქმედების დიდი დიაპაზონი აქვს. ზოგი ამას თავისუფლებას ხედავს, სინამდვილეში ალვირას-სნილობაა. პასუხისმგებლობა ღვთაებრივი ალვირია, რომელიც ადამიანს ღმერთობაში ყოფნის შესაძლებლობას აძლევს.

ეკლესიის საზოგადოებრივი დანიშნულებაა, ადამიანს პასუხისმგებლობის გრძობა გაუღვივოს, რათა ბოროტების პოლუსზე არ აღმოჩნდეს. გზა სიკეთისკენ არის გზა ღმერთისკენ. როდესაც ვამბობთ, „სიყვარული არს ღმერთს“



ჯუშუბარ სარდლიშვილი

„რასაც დადამინაზე შეკრავთ, ზედასივს შეკრული იქნება“

თის ძედ აქცია. ეკლესიამ ადამიანს გონება უნდა გაუნათოს და არა დაუბინდოს. ამაზრუნვი და ამორალური საქციელი იყო იმ გონებადახშული ადამიანების საქციელი, რომლებიც წმინდა გაბრიელის ჩასასვენებელზე ფუტლებს ყრიდნენ და ცხედრისგან ბევრ ფულს მოითხოვდნენ; ზოგი მანქანის გასაღებს აგდებდა ზედ და ახალ მანქანას ითხოვდა.

ეკლესიის იდეის მიზნობრიობაში არ არის ადამიანის ტვინის ამოცლა, მისი საზოგადოებრივი დანიშნულება ადამიანის გაკეთილშობილებაა.

ეკლესია-მონასტრების რაოდენობრივი ზრდა პირდაპირპროპორციული არ არის გაკეთილშობილებულ ადამიანთა რაოდენობის ზრდასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკლესია მწირი შესაძლებლობებით, სულზე კეთილი გავლენის თვალსაზრისით, უფრო შედეგიანი იყო, ვიდრე დღეს, რაოდენობრივად გაზრდილი ეკლესიებისა და სასულიერო პირების სიმრავლის პირობებში. მე მესმის, რომ დღეს ეკლესია ლიბერალური იდეოლოგიის წინააღმდეგ არის, უამრავი სულგაყიდულია ჩვენ გარშემო, მაგრამ ევროპული აზროვნების კიდევ ერთი მონსტრი, სოციალისტური იდეოლოგია, ეკლესიას განა ნაკლებ უხედავრებად დაატყდა თავს? მაგრამ ის არსებობს.

ეკლესიას დაცემის უფლება არა აქვს, თორემ დედამიანა სულისა და სულიერების სასაფლაოდ გადაიქცევა, რაც ძვირად დაუფდება კაცობრიობას.

როდესაც ლიბერალი თეორეტიკოსები გვარწმუნებენ: მთავარია ადამიანები ცხოვრებისგან სიამოვნებას იღებდნენო, გაუაზრებელი, ან ბოროტულად გამიზნული შეხედულებაა. ადამიანს შეუძლია სიამოვნება ორპოლუსიან სისტემაზე ამოძრავოს, სიკეთის გზას, ღმერთობას მოსწყვიტოს, ბოროტების პოლუსზე გაიტანოს და სიამოვნება ბოროტებიდანაც მიიღოს; ადამიანს შეუძლია, თავად სიკეთე გაიტანოს ბოროტების პოლუსზე და პირველს სიკეთე შესძღვნას იმიტომ, რომ მეორეს ზიანი მიაყენოს. ამ დროს სიკეთის, როგორც მოვლენის არის მიზნობრიობაში ბოროტების პოლუსზე. ამაშია ადამიანის, როგორც იდეური არსების, სირთულე და განსაკუთრებულობა. მის თავისუფლებას პასუხისმგებლობა განსაზღვრავს. პასუხისმგებლობას ადამიანი სიკეთესთან მიჰყავს, უპასუხისმგებლობას კი — ბორო-



თი“, ღმერთი სიკეთის პოლუსზე გაგვყავს, მაგრამ ადამიანს შეუძლია სიყვარული ბოროტების პოლუსზე გაიტანოს, სიყვარულით ბოროტება ჩაიდინოს. ეს არ ნიშნავს, რომ ღმერთი სიყვარულის გარეშე, პირიქით, სიყვარულია ამ დროს ღმერთის გარეშე. ადამიანი ბოროტების პოლუსზე ღმერთის გარეშე.

ადამიანის ბუნებრივი უფლებებია, ჰქონდეს პასუხისმგებლობა. უპასუხისმგებლო ადამიანი კარგავს თავისუფლებას და სხვის მიერ ადვილად იმართება. ეკლესია ვალდებულია, ადამიანს თავისი თავის რწმენა შთაუწეროს, იმედოვნოს, პასუხისმგებლობის გრძობა გაუღვივოს, რათა ბუნებრივი უფლება თავისუფლებით არ დაკარგოს და იდეოლოგიის სულგაყიდული მსახურების გავლენის ქვეშ არ მოექცეს.

ვინც მთელი თავისი პასუხისმგებლობით მოქმედებს, ის ღმერთობაშია, ქრისტიანია.

ეკლესიას თუ არ ვუპატრონეთ, ეშმაკები დაეპატრონებიან, ადამიანში პასუხისმგებლობის გრძობას ჩაკლავს, სულიერებაში სიბნელე დაისადგურებს, რაც იმის მაუწყებელი იქნება, რომ ბოროტება განათდა, ბოროტება ზეიმობს.

ეკლესიამ ადამიანში უნდა შვას ღვთაებრივი პასუხისმგებლობა. ეს ისეთი პასუხისმგებლობაა, როდესაც შესაძლებლობაში ადამიანს შესწევს ძალა გაანადგუროს, მაგრამ არ ანადგურებს. ღვთაებრივი პასუხისმგებლობით ადამიანმა უნდა შეძლოს თავისი შესაძლებლობები სიკეთედ აქციოს, ამით ის ქრისტიანული მარადიულ არსებობაში გადავა. თუ ეკლესია შეძლებს, ადამიანს ადამიანის ღვთაებრივი ძალა დაანახოს, ის დაკნინებული ღვთაებრივი მარადიული აღარ იქნება, მას ეშმაკიც ვეღარ აცდუნებს.

თუ სულიერება დაეცა, ეკლესიას საზოგადოებაში ადგილი აღარ ექნება. ჩვენი უენო და უმოქმედო საზოგადოება, სადაც კაცებს აყევებენ, იდეოლოგიით გონებაარეული ადამიანების სამწყ-

სოდ გადაიქცევა.

ქრისტიანობა: „არ გაგიგონიათ თქვენ, კაცს რომ ასი ცხვარი ჰყავდეს და ერთ მათგანს გზა რომ აეზნეს, განა მთებში არ მიატოვებს ოთხმოცდაცხრამეტს და არ წავა გზააზნეულის მოსაძებნად? თუ მოხდება და იპოვის მას, ჭეშმარიტად გეუბნებით მე თქვენ, უფრო მეტად გაიხარებს მასზე, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტზე, რომლებსაც გზა არ აზნევიან“. ქრისტეს ამ შეგონებით მოგმართავთ ეკლესიის მსახურებს: თითოეული ადამიანის სულის გამოსახსნელად აისხით იარაღი თქვენი გონიერებისა, რწმენისა, კეთილმსახურებისა და იხსენით თითოეული ადამიანის სული ჯოჯოხეთის მოციქულებისგან! გიხაროდეთ თითოეული გამოხსნილი სულის მაგიერ და რაც ქრისტესგან „უსაყიდლოდ მიგიღიათ, უსასყიდლოდ გაცეთ“. თქვენ თქვენს თავში მოერიეთ უღმერთობას, რათა სხვა ღმერთობას აზიაროთ, მოიკვეთეთ ის ნაწილი სხეულისა, რომელმაც გაცდუნათ; თუ არ განდევნით თქვენი სხეულიდან მაცდურს, სხვას მაცდურისგან ვერ დაიკავთ. საზოგადოების სულიერი განწმენდა თქვენგან უნდა დაიწყოს და დაიწყეთ! გახარეთ ეკლესიიდან უღირსნი, შემოიმტკიცეთ ღირსეულნი და შეუდევით გოლგოთას!

ლიბერალური იდეოლოგიით გონებაარეულებს მივმართავ: „იქედნე ნაშობნი, როგორ შეგიძლიათ ილაპარაკოთ კეთილი, როცა ბოროტები ხართ?“ პასუხისმგებლობის გრძობა არ გაგანჩიანთ და ეკლესიის პრობლემები კი არ განუხებთ, ქილიკობთ და სიხარულით წრიპინებთ.

„ხე ნაყოფით შეიცნობა“. სოციალისტური იდეოლოგიის მომხრეებიც დევნიდნენ ეკლესიას, ერს, საზოგადოების საუკეთესო ნაწილს და საკუთარმა შვილებმა ცრემლების ნაცვლად სირცხვილის სინანული დააყარეს საფლავებზე.

დასავლეთი „ლიბერალური დემოკრატია“ არ არის, ისევე როგორც ფაშიზმი არ არის გერმანია,

და არც სოციალიზმია რუსეთი. სამივე ეს იდეოლოგია ევროპული აზროვნების შედეგია, რამაც თავად ევროპა გახვია სისხლისღვრებში.

ირონიით ქილიკობთ, ევროპა თუ არ გინდათ, მაშინ ვინ გინდათ? რუსეთი, ირანი თუ კორეა? მრავალი გამოკითხვით დადასტურდა, რომ ჩვენ ევროპა გვინდა იმიტომ, რომ რუსეთი ქართული სახელმწიფოს მტერი იყო და არის, მაგრამ ჩვენ არ გვინდა ლიბერალური იდეოლოგია, რომელიც კაცობრიობის მტერია. თქვენ დასავლური საზოგადოება, ერები, ადამიანები კი არ გინდათ, იდეოლოგია გინდათ; ამერიკის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევისას ისე უქმაცოფილოდ აწრიალდით, ძალა რომ გქონოდათ, ამერიკას მიწასთან გაასწორებდით, რადგან ამერიკა და ამერიკელი ხალხი კი არ არის თქვენთვის ღირებულება, არამედ ის იდეოლოგიაა, რომელსაც ემსახურებთ.

მთელი იდეოლოგიური მესხეთე კოლონა ისე გახარებულეები იყავით ეკლესიაში ენ. „დასავლური ორიენტაციის“ მღვდელმთავრების გამოჩენით, რომ საცოდავ არსებებად გამოიყურებოდით. ჯერ ერთი, როგორც ზემოთ ვთქვით, დასავლეთსა და დასავლეთის იდეოლოგიას შორის ის განსხვავებაა, რომ იდეოლოგია წარმატებულია და დასავლეთის საზოგადოებრივი მარადიული. მეორეც, დემოკრატიული ლიბერალიზმი და ქრისტიანობა შეუთავსებადი ცნებებია. თუ რომელიმე საეკლესიო პირს განუზრახავს იცოს ლიბერალური იდეოლოგიის მიმდევარი, უნდა იცოდეს, რომ იდეოლოგია სულს თრგუნავს და ადამიანს სულიერებას ართმევს, ხოლო ქრისტიანობა სულიერებას უნარჩუნებს. როგორ უნდა ემსახუროს მღვდელმა ორ ბატონს?

ეკლესია სულის მსახურია. ის არ უნდა იცოს არც პრორუსული, არც პროჩინური და არც პროდასავლური. მისი იდეური მიზანია, სულიერება შეუნარჩუნოს ადამიანს. თუ ეკლესიაში არიან პირნი, რომლებიც რუსეთს ემსახურებიან, ან — ჩინეთს, ქართული ეკლესიიდან უნდა განიდეგნონ და სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურები დაინტერესდნენ.

ქრისტიანობა: „ერიდეთ ცრუ წინასწარმეტყველებს, რომლებიც ცხვრის სამოსით მოდიან თქვენთან, შინაგანად კი მტაცებელი მგლები არიან“. ის ლიბერალი თეორეტიკოსები, რომლებიც თავიანთი იდეოლოგიური ნაშრომებით კვებდნენ ადამიანებს, გონებას ურევენ მობოროტებებს, ქართული საბჭოთა ფილოსოფია სამყაროს მარქსისა და ლენინის სათვალთო შესცქეროდა და მათი აზრების გადამღვრებას ახდენდა. ასევე იქცევიან ლიბერალი მოაზროვნეები, რომლებსაც საკუთარი აზრი არ გააჩნიათ.

ფილოსოფოსისთვის დაეჭვება მთავარი მომენტია. ვინც ამ მომენტს ხელიდან გაუშვებს, ის ვერ გახდება ფილოსოფოსი და ვერც — მოაზროვნე. დადგება დრო, და როგორც საბჭოთა ფილოსოფია, ლიბერალური ფილოსოფიაც თავის შემოქმედს სუდარად გადაეფარება.

მინდა გავამხსენო ქართველი მართმადიდებლური ეკლესია და ვუთხრა, რომ მას უფრო დიდი მისია აკისრია, ვიდრე ნებისმიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტს. ამ დიდი მისიის შესრულების გარანტი საეკლესიო პირთა კეთილსინდისიერებაა.

ქრისტეს სიტყვებით დავასრულებ: „შედიოთ ვინრო კარიბჭით, ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისკენ მიჰყავს, და მრავალნი დადიან მასზე“.

გელ: 599244024

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, თვალსაჩინო მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს ლინა მელიქიშვილს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. მისი ისტორიკოს-ეთნოლოგად ჩამოყალიბებაში დიდი გავლენა იქონია ოჯახურმა წრემ. იგი აკად. გ. მელიქიშვილის და აკად. შ. ამირანაშვილის ტრადიციების გამგრძელებელია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ლინა მელიქიშვილმა თავისი მომავალი საქმიანობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, ეთნოლოგიის სფეროში განაგრძო. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი აკად. ა. რობაქიძე იყო. 2001 წელს ლ. მელიქიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ტრადიციული კულტურის როლი ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში“. წლების მანძილზე იგი იყო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების გამგე, ეთნოკონფლიქტების შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელი.

როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოში მომხდარმა კარდინალურმა ცვლილებებმა რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე სოციალურ-პოლიტიკური პროცესები გამოიწვია, გაჩნდა კონფლიქტური კერები. მეცნიერების წინაშე ახალი ამოცანები წამოიჭრა. მეცნიერებამ თავის თავზე აიღო ურთულესი ამოცანა, რომელიც თანამედროვეობის კვლევას უკავშირდება და განსაზღვრავს მომავალი ცხოვრების გზას. პრობლემურად წარმოჩნდა პოლიეთნიკური რეგიონები, სადაც მეტ-ნაკლებად შეიქმნა კონფლიქტური სიტუაციები. ამ პროცესის ფიქსაციას ველზე სათავეში ჩაუდგა ლ. მელიქიშვილი. მისი შეხედულებით მეცნიერული ანალიზი უდავოდ ხელს შეუწყობდა, ერთი მხრივ, სახელმწიფო სტრუქტურების ამოქმედებას ამა თუ იმ რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და, მეორე მხრივ, პოლიეთნიკური საზოგადოების უსაფრთხოების თვითრეგულაციისათვის პრობლემის მიმართ უფრო გააზრებულ და მიზანდასახულ მიდგომას. ქ-ნი ლიას მერაბა შედგენილი ეთნოგეოგრაფიული კვლევის მეთოდები; სავსე კითხვარი და მისი სპეციფიკა პოლიეთნიკურ რეგიონებში. საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდა მისი წიგნი „ეთნოგრაფიული ველი“, სადაც სრულიად ახლებურად არის გააზრებული ექსტრემალურ პირობებში ველზე მუშაობის პროცესი.

ლ. მელიქიშვილის გამოკვლევები გამოირჩევა მასალის ღრმა ანალიზით, მისეული ინტერპრეტაციით, საკვლევო საკითხებისადმი გლობალური მიდგომით. დიდ ინტერესს იწვევს „კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში“, „პანკისის კრიზისი“, რომელიც ქ-ნი ლიას ხელმძღვანელობით ეთნოლოგთა ჯგუფის ერთობლივი ნამუშევარია. ეს წიგნი მიჩნეულია ანტიკრიზისულ პროგრამად და იმ პროექტის ნაწილია, რომელიც აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით გაჩნდა. მაშინ ლინა მელიქიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველოს სუვერენიტეტის მოთხოვნის პარალელურად, შესაძლოა, დიდი პრობლემები შექმნილიყო პოლიეთნიკურ სასაზღვრო რეგიონებში. ლინა მელიქიშვილის რედაქტორობით საკითხთან დაკავშირებით გამოიცა წიგნები, რომლებშიც წარმოდგენილი მასალები არაერთმა სახელმწიფო სტრუქტურამ გამოიყენა კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით.

ქ-ნი ლიას თაოსნობით ეთნოლოგიურ მეცნიერებაში საფუძველი ჩაეყარა სრულიად ახალ მიმართულებას – კონფლიქტოლოგიას. მისი წიგნი „ეთნოკონფლიქტის მოსალოდნელი ზონები საქართველოში“ პროგნოზირებადი ხასიათის გამოკვლევას, სადაც უზუსტად არის განსაზღვრული სასაზღვრო ზონების ეთნოუმცირესობების პრობლემები, რომლებიც არსებულ კონფლიქტებამდე იქნა გამოკვლეული. ნაშრომმა მაღალი შეფასება დაიმსახურა საერთაშორისო კონფერენციაზე პორტუგალიაში (ქ. კოიმბრა). ლ. მელიქიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაში საქართველოს სასაზღვრო ზონის პოლიეთნიკური საზოგადოებების შესწავლა მისი კვლევის ერთ-

ერთ ძირეულ მიმართულებად იქცა. არაერთი სიახლის შემცველია მეცნიერის ძიებანი „ღია და დახურულ საზოგადოებათა“ ურთიერთმიმართების პრობლემასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ლინა მელიქიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას აკად. ო. ჯაფარიძემ და აკად. დ. მუსხელიშვილმა უმაღლესი შეფასება მისცეს. ისინი წერენ: „დიდი დამსახურებაა, რომ მან ქართული ეთნოლოგია ევროპული მეცნიერების დონეზე აიყვანა, ადამიანისა და საზოგადოების მთლიანობაში შესწავლას ფართო გზა გაუკვალა. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მან ქართული ეთნოლოგიური სკოლის მამამთავრის, აკად. გ. ჩიტაიას დიდი ხნის ოცნება სრულად აღასრულა. თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით დააჩქარა დრო, რომ ეთნო-

ლოგიური კულტურის როლი ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში“, ისტორიკოს-სოციოლოგმა გ. ამაშუკელმა შემდეგი შეფასება მისცა: ცნობილი ფრანგი სოციოლოგი ანრი მენდრა თვლის, რომ სოციოლოგიური მეცნიერება, თავისი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების გათვალისწინებით, ერთ მთლიან წარმოადგენს. ეთნოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია და სოციოლოგია მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. საზოგადოებრივი და სოციალური პრობლემების შესწავლისას მათი სფეროების მკვეთრად გამოჯვანა რთული საქმეა და არც არის საჭირო. ლ. მელიქიშვილის დამსახურება იმაშია, რომ იგი დაადგინა საკითხის შესწავლის კომპლექსურ გზას და სამივე დისციპლინის თვალსაზრისი ერთი მიმართულებით წარმართა.

აღიარება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლინა მელიქიშვილის დაბადების 75 წლის ბაჟი



ლ. მელიქიშვილმა ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო სკოლების ცნობილი წარმომადგენლების მსგავსად, ეთნოლოგია არა მხოლოდ მეცნიერების, არამედ საზოგადოების მწვავე პრობლემების გადაჭრის სამსახურში ჩააყენა, რამაც საქართველოში 90-იანი წლებიდან დღემდე შექმნილ ექსტრემალურ ვითარებაში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეიძინა.

ლოგიურ მეცნიერებას სიმართლის თქმის საშუალება უქონოდა.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ ლინა მელიქიშვილს უღრმესი მადლობა გადაუხადა ქართულ ეთნოგრაფიაში ახალი მეცნიერული მიმართულებისა და კვლევის უახლესი მეთოდების დანერგვა-განვითარებისათვის; სასაზღვრო რეგიონებში, ხშირად სიცოცხლისთვის საშიშ ვითარებაში, საქართველოს უსაფრთხოების დაცვისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი სამეცნიერო ექსპედიციების წარმატებული ჩატარებისათვის; საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკულ დღეებში გამოვლენილი თავგანწირვით აღსავსე მოქალაქეობრივი პოზიციისთვის; უცხოელი და ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისთვის; მეგობრებისა და კოლეგების თანადგომისა და ხელშეწყობისთვის.

ჩვენმა სასიქადლო მეცნიერმა ი. სურგულაძემ ეთნოლოგიის მოდერნიზაციის გზაზე ლ. მელიქიშვილს პიონერი უწოდა. იგი აღნიშნავს: „მისი წარმოდგენილი ნაშრომი სათავეს უდებს ჩვენს ეთნოლოგიაში სრულყოფილ და ახალ პროფილს, უაღრესად აქტიურად და პოპულარულს თანამედროვეობაში. ამ საკითხთა მოძალდება განპირობებულია მსოფლიო ისტორიის ვითარებით. მან საფუძვლიანად შეისწავლა მთელი დარგი და ამას დააყრდნობს თავისი კონკრეტული გამოკვლევა. იგი შესანიშნავად ფლობს არათუ ტერმინოლოგიას, არამედ თავისი სამოქმედო დარგის დამოუკიდებელ, სპეციფიკურ ენას, რაც მას საშუალებას აძლევს მაქსიმალურად სრულყოფილად გამოკვლეოს აზრი და უაღრესად პლასტიკური იყოს მოვლენათა აღწერისას“.

ლ. მელიქიშვილის ნაშრომს „ტრადიცი-

ლ. მელიქიშვილი მრავალი ნაშრომის, მათ შორის, მონოგრაფიებისა და წიგნების ავტორია, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ და უცხოურ ენებზე. მონაწილეა არაერთი სამეცნიერო კონფერენციისა (საქართველო, ევროპა, ამერიკა). იგი იყო ადამიანთა და ნაციონალური უმცირესობის უფლებათა დაცვის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი; კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და ერთ-ერთი დამფუძნებელი; ეთნოგრაფიული ექსპედიციების ხელმძღვანელი და მონაწილე საქართველოს რეგიონებსა და ჩრდილო კავკასიაში; საქართველოში და ევროპაში საგრანტო პროექტების ავტორი და თანაშემსრულებელი; ექსპერტთა ტრადიციული კულტურის, ეროვნული უმცირესობის და ეთნოკონფლიქტების; ინდივიდუალური კვლევითი პროექტების მთავარი შემრჩევი კომიტეტის წევრი (აშშ); სორბონის უნივერსიტეტი (პარიზი), კავკასიური მიმოხილველი, კავკასიური კვლევების ასოციაციის ყურნალის საერთაშორისო საბჭოს წევრი; ევროპის სოციალური ანთროპოლოგიის ასოციაციის წევრი.

ლ. მელიქიშვილის მეცნიერული ინტერესების სფეროა ეთნოპოლიტიკა, საზოგადოების განვითარების ეთნიკური ასპექტები, გენდერი, ეროვნული უმცირესობანი, ეთნოკონფლიქტები, პოლიეთნიკური საზოგადოება, ტრადიცია და კულტურა. მისი ძირითადი სამეცნიერო მიმართულება ეთნოლოგიურ მეცნიერებაში კონფლიქტოლოგიაა. „კონფლიქტის არსი, მისი წარმოშობის ფაქტორებისა და მექანიზმების გარკვევისას ლ. მელიქიშვილი უხვად იყენებს შესაბამის ფსიქოლოგიურ ლიტერა-

ტურას, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს ორგანულად უკავშირებს კონფლიქტის ანთროპოლოგიას, რაც მეტად მნიშვნელოვანია. საუკუნის დასაწყისიდან ისე მჭიდროდ და რთულად არის გადახლართული ანთროპოლოგთა, სოციოლოგთა და ფსიქოლოგთა თეორიული მიდგომები და კონცეფციები, რომ თუ არა ავტორის მაღალი მეცნიერული დონე, ანალიზისა და მიგნების უნარი, ისე თავს ვერ გაართმევდა ამ საკითხს.“ – წერდა ცნობილი ფსიქოლოგი აკად. შ. ნადირაშვილი.

ამსტერდამის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი ფრანსუაზ კომპანიენი თავის წერილს „ეთნოლოგია საქართველოში“ მთლიანად უთმობს ლ. მელიქიშვილის მეცნიერულ კვლევებს და ღრმა შეფასებას აძლევს მის მიერ განუღებელ სამუშაოს.

ლ. მელიქიშვილს ეკუთვნის ეთნოლოგიის დარგის თანამედროვე ინტერპრეტაცია. უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა კვლევის შედარებითმა მეთოდმა ეთნოლოგიაში. სწორედ ამ მეთოდს მიეძღვნა ლ. მელიქიშვილი და ს. გაბუნიას წიგნი „შედარებითი მეთოდი ეთნოლოგიაში“.

ქართულ და რუსულ ენებზე ცალ-ცალკე გამოქვეყნდა ტომი „ГРУЗИНЫ“ (2015 წ.) და „ქართველები“ (2016 წ.), რომელიც მომზადდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიისა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიკლუხო მაკლასის სახ. ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის მიერ. ამ წიგნის გამოსაცემად მომზადდა ლ. მელიქიშვილმა ითავა. თანარედაქტორთან – ისტ. მეცნ. დოქტ. ლ. ბერიაშვილთან ერთად მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ამ პროექტის განხორციელებაში. ნაშრომი მიძღვნილია ქართველების, კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ავტოქტონური ხალხის ისტორიისა და ეთნოლოგიის კვლევისადმი. წიგნის ავტორები არიან ისტორიკოსები, ეთნოლოგები, არქეოლოგები, ანთროპოლოგები, კარტოგრაფები, ენათმეცნიერები, ლიტერატურათმცოდნეები, წყაროთმცოდნეები და ხელთნებათმცოდნეები. ამ წიგნს უმაღლესი შეფასება მისცეს აკად. მ. ლორთქიფანიძემ და აკად. ო. ჯაფარიძემ: „ნაშრომი თავისი მნიშვნელობით, ზოგადი მსოფლიო კულტურის ისტორიის რკალში ექცევა“. პროექტის „Народы и культуры“ ავტორისა და პასუხისმგებელი რედაქტორის, აკად. ვ. ტიშკოვის აღიარებით „ГРУЗИНЫ“ – სერიის უკვე გამოცემულ 28 ტომთა შორის, საუკეთესო წიგნად არის მიჩნეული.

საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრობლემების კვლევა-დამუშავებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი მეცნიერული და ორგანიზატორული საქმიანობისათვის ლ. მელიქიშვილი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ლ. მელიქიშვილმა ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო სკოლების ცნობილი წარმომადგენლების მსგავსად, ეთნოლოგია არა მხოლოდ მეცნიერების, არამედ საზოგადოების მწვავე პრობლემების გადაჭრის სამსახურში ჩააყენა, რამაც საქართველოში 90-იანი წლებიდან დღემდე შექმნილ ექსტრემალურ ვითარებაში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეიძინა. მისი ნაშრომებით სარგებლობენ არა მხოლოდ ქართველი მეცნიერები და სტუდენტები, არამედ უცხოელი მეცნიერები, ბაკალავრები, მაგისტრანტები და დოქტორანტები.

იუბილარი შესანიშნავი ოჯახის წარმომადგენელია. ქ-ნი ლინა ღირსეული დედაა, ჰყავს ორი შვილი და შვილიშვილები. მისი მეუღლე ჯუანშერ ამირანაშვილი არქეოლოგია, სამეცნიერო წრეებში იგი ცნობილია, როგორც უაღრესად ერუდირებული პიროვნება. ქ-ნი ლინა გამოირჩევა პრინციპულობითა და მაღალი პასუხისმგებლობით, ამავე დროს გულსისხმიერებითა და კეთილგანწყობით თავისი კოლეგების მიმართ. იგი დღესაც წარმატებით აგრძელებს სამეცნიერო მოღვაწეობას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.


როინ მებრევილი,
აკადემიკოსი,
ნიკო მაისურაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

რა ვინაობა?

ხალხი ენერგოპროექტების (ეკონომიკური ბანკოტარების!) წინააღმდეგ?!

მოსახლეობა დიდ ენერგეტიკულ პროექტებს ეწინააღმდეგება და აქციებს აქციებზე აწყობს. ქვეყანაში ელექტროენერჯის მოხმარება სწრაფად იზრდება, ხოლო გამომუშავება ვერ აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნას. ინვესტიორები კი ფრთხილობენ. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ჯერ არ ჩანს.

14 მარტს თბილისში მსხვილი პიდრო-ელექტროსადგურების მშენებლობის სანაღმდეგო საპროტესტო აქცია-მსვლელობა გაიმართა. აქციაში მონაწილეობდნენ ზემო და ქვემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ხევსია და მთიულეთის მცხოვრებლები, გარემოს დამცველები და სამოქალაქო აქტივისტები. აქციის მონაწილეებმა საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებს მოუწოდეს, არ დააფინანსონ დიდი ჰესების სამშენებლო პროექტები.



აქციის მონაწილეთა ნაწილის თქმით, თუკი მთავრობა არ შეწყვეტს ჰესების მშენებლობას, ისინი პრობლემის მოგვარებას თავად შეეცდებიან და მშენებლებს სვანეთის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას არ მისცემენ.

აქცია თავისუფლების მოედანზე დაიწყო და მსვლელობით მთავრობის კანცელარიასთან მივიდა. მათ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვიციანი, ვიცე-პრემიერ-მინისტრ ვახტანგ გომიანი, საპროტესტო მსვლელობის მონაწილეთა აზრით, მთავრობამ უნდა შეასრულოს დაპირება და შეწყვიტოს დიდი ჰესების მშენებლობა.

მოგვიანებით, მსვლელობამ თბილისის პარლამენტის შენობისკენ გადაინაცვლა, სადაც აქციის მონაწილეებმა პარლამენტის წევრებს მოუწოდეს, სოლიდარობა გამოეხატათ აქციის მიმართ. მათი თქმით, ეს არის ბრძოლა არამხოლოდ ჰესების წინააღმდეგ, არამედ ქვეყნის გადასარჩენად, რადგან ენერგობიუტების მშენებლობა ბიომრავალფეროვნების, სოფლების ისტორიისა და კულტურის განადგურებას ემუქრება.

საპროტესტო მსვლელობა „აზიის განვითარების ბანკთან“ და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან“ გაგრძელდა, რადგან დიდი ენერგოპროექტების დაფინანსებლები სწორედ ეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებია.

გარდა დედაქალაქისა, აქციები გაიმართა ასევე ქუთაისში, ნაკრაში, ხაიში, მესტიასა და ქუთაისში: „არა ონის კასკადს, არა გვირაბებს და არა დაძირვას. არაფერი სასარგებლო ამ ყველაფერს ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ისტორიისთვის არასდროს მოუტანია და არც მოუტანს“, - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

მოსახლეობის პროტესტს არასამთავრობო ორგანიზაციებიც შეუერთდნენ. გარემოსდამცველი ლაშა ჩხარტიშვილი ამბობს, რომ მთავრობა რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას სწირავს: „მადლობა ღმერთს, ადგილობრივი მოსახლეობა არ აპირებს ხელისუფლებას დაუთმოს ის, რაც დასათმობი არ არის. საკუთარი კუთხე-კუნძულის დატოვება - ეს არის რეალური პრობლემა და ტრაგედია, რომლისთვისაც სწირავს ხელისუფლება საკუთარი ქვეყნის ყველა კუთხეს“.

„საფრთხე ემუქრება როგორც მოსახლეობას, ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. განადგურდება ფლორა და ფაუნა. ჰესის აშენება იგეგმება სეისმურად და მენყრულად საშიშ ზონებში. გვინდა, მოვუწოდოთ ხელისუფლებას, უარი თქვას მსგავსი სახის პროექტებზე“, - განაცხადა აქციის მონაწილის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა სვიჩა ვაშაყმაძემ.

ენერგეტიკოსები კი, მოსახლეობის მზარდ პროტესტს დარგის განვითარებისთვის მეტად სასიფთაოდ მიიჩნევენ. თუკი ასე გაგრძელდება, ინვესტიორები საბოლოოდ დაფრთხილდებიან და, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანა ენერგეტიკული პრობლემების წინაშე დადგება. დეპუტატი რეზო არველიანი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ძალიან კარგი პროექტები აქვს ენერგეტიკის სექტორში, მაგრამ მათი განხორციელება ძალიან ჭიანჭურდება.

„მოსახლეობის პროტესტს სახელმწიფო ნააწყვედა ხუფანა და დაკავშირებით. წესით, პროექტი უკვე დაწყებული უნდა იყოს, მაგრამ ხალხთან საერთო ენის გამოხატვა ვერ მოხერხდა. ხალხი ეწინააღმდეგება მცირე ჰესებსაც. აქედან გამომდინარე, ელექტროსადგურების მშენებლობის ტემპი საგრძნობლად შეფერხდა და ეს ხდება სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი მიზეზებით“, - აცხადებს არველიანი.

ჯერჯერობით მოსახლეობასა და ხელი-სუფლებას შორის საერთო ენის გამოხატვა ვერ მოხერხდა. ქვეყანაში დენის მოხმარება წლიდან წლამდე მატულობს, ხოლო ელექტროენერჯის გამომუშავება კი მზარდ მოთხოვნას ვერაფერს წვდება.

ზაქა ღანელია



ვის „დაარბყა“ ხინვალი ხილ-ბოსტნეულის ქართულა ემბარგოზე?!

შაბათს სამი კვირა შესრულდება მას შემდეგ, რაც ქართულმა მხარემ ენ. საბაჟო გამშვებ პუნქტ „რაზდახანის“ (ოსური სახელწოდება) გავლით მსუბუქი მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადატანა აკრძალა.

ეს სანქციები 24 თებერვალს ცხინვალის იზოლაციაში გაურკვეველ ვითარებაში არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალების საპასუხოდ იქნა შემოღებული, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ოკუპირებულ რეგიონში კომერციულ გადაზიდვებს აწარმოებდა. როგორც ადგილობრივი ყვებიან, ემბარგოს დაწესების შემდეგ ცხინვალის რეგიონში ხილსა და ბოსტნეულზე ფასები საგრძნობლად გაიზარდა.

„მალაზიები ჯერ კიდევ ყიდიან არამალფუჭებადი პროდუქციის ძველ მარაგს - ხახვს, კარტოფილს, დაფნის ფოთოლს, ნიორს. აი, მალფუჭებადი კი, როგორცაა პომიდორი, კიტრი, მწვანილი და სხვა, ახლა ცხინვალთან შემოაქვთ. როგორც ამისწინ, ეს იგივე მომწოდებლები არიან, უბრალოდ, ახლა ემბარგოს გამო პროდუქტი ზემო ლარსით შეაქვთ ჩრდილოეთ ოსეთში, იქიდან კი - ცხინვალში და იქ უკვე ჩვენი მალაზიები ყიდულობენ“, - განუცხადა „3X0 KABKA3A“-ს ახალგორელმა სამოქალაქო აქტივისტმა თამარ მეარაყიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, ამან პროდუქცია მნიშვნელოვნად გააძვირა და, მაგალითად, ყველაზე დაბალი ხარისხის ვაშლი, რომელიც ადრე 1 კგ/100 რუბლზე ნაკლებად იყიდებოდა, ახლა 170 ლირს; ნითელი ბულგარული წინაა - 150-ის ნაცვლად 250 რუბლი.

„დიდი რაოდენობით არ შემოაქვთ. მონოდებები აშკარად არ არის გათვლილი მთელ რაიონზე, რადგან ამ ფასებს ადგილობრივთა დიდი ნაწილი ნამდვილად ვერ გასწვდება. როგორც ჩანს, პროდუქტი რუს სამხედროებზეა ორიენტირებული, ადგილობრივებს კი შეუძლიათ, თბილისში ჩავიდნენ და ადრინდელივით იქაურ ბაზარზე შეიძინონ პროდუქტი, სანამ პირადი მოხმარებისთვის პროდუქტების გადატანა არ აუკრძალაო“, - ამბობს თამარი.

როგორც ჩანს, ყველაზე მეტად ემბარგომ მაინც მეზობლები დაზარალა. თუ სანქციების შემოღებამდე ენ. საბაჟოს ერთდროულად ოთხი თანამშრომელი ემსახურებოდა და ყველას ჰყოფნიდა როგორც საქმე, ისე არაოფიციალური შემოსავალი,

ახლა, როგორც მძღოლები ხუმრობენ, იქ „მხოლოდ ხელფასის ამარა ერთი მეზობელი თვლებს“. ახალგორში ამბობენ, რომ ახლა მეზობლები ადგილობრივ მალაზიებში პროდუქტს ხშირად ნისიადაც იღებენ - ხელფასამდე.

პროდუქტი ცხინვალის ბაზარზეც გაძვირდა, თუმცა არა იმდენად, რამდენადაც ახალგორში. მაგალითად, 1 კგ მანდარინი 80 რუბლი ღირდა და 100 გახდა; კარტოფილის ფასმა 25-დან 45-50 რუბლამდე მოიმატა, კომბოსტოსი - 25-დან 35-მდე.

ერთი საინტერესო დეტალი: მარნეულელ მენარმეებს სამ კვირაზე ნაკლები დასჭირდათ, რათა შეემუშავებინათ ახალი ლოგისტიკური სქემა რუსეთის გავლით და ცხინვალის რეგიონში მინოდებები განეხლებინათ. უმოკლეს ვადებში მათ „რაზდახანის“ გვერდის ავლით - ჯვრისა და როკის უღელტეხილით ახალი - 400-კმ-იანი სავაჭრო დერეფანი გაკვალეს.

საინტერესოა, რას მოიმოქმედებენ შექმნილ ვითარებაში ოსი მენარმეები: ქმნის თუ არა ქართველი მომწოდებლების დამატებითი ხარჯები პირობებს კონკურენციისთვის, თუ მათი პროდუქციის თვითღირებულება იმდენად დაბალია, რომ ფასების ზრდის გათვალისწინებითაც კი ისინი უკონკურენტოდ რჩებიან?

ვლადიკავკაზის ლოგისტიკურ ცენტრ „NBC“-ის დირექტორი ვახტანგ ჯიგაყვი თვლის, რომ მენარმეებს ახალი რეალობის კარგად გაანალიზება მართებთ:

„ბაზარი ყველაფერს თავად გადაწყვეტს. თუ ადამიანები ფასებში ჩაენერებიან, ხილ-ბოსტნეულს პატივგარსკიდანაც, ყაბარდო-ბალყარეთიდანაც წამოიღებენ. შესაბამისად, აზერბაიჯანელებიც ჩამოიხიან. გვერდის ფასების თავისუფალი კონკურენცია.“

— ანუ შექმნილი ვითარება ყველა შემთხვევაში საბაბია ალტერნატიულ მონოდებებზე დასაფიქრებლად?

— უდავოდ, და არა მარტო ალტერნატიულ მონოდებებზე, არამედ, უპირველესად, ეროვნულ წარმოებაზე, თუნდაც იმ პროდუქციისა, რომელიც აქ ადრე მოჰყავდათ, რათა შიდა ბაზრის საჭიროებები მაინც დაიფაროს“.

ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, რომელიც ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში გამოიყენება

„ესო კავკაზა“

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, პენსია გახდება 400 ლარი, - ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა ნიკა მელიამ გუშინ განაცხადა, სადაც მან საპენსიო რეფორმაზე ისაუბრა.

„განსაკუთრებით მინდა მივესალმო ჩვენს პენსიონერებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად იმსახურებთ იყო და დაფასებულნი, რათა მთელი თქვენი ფასდაუდებელი ცოდნა, გამოცდილება და უნარები კიდევ უფრო მეტი ხალხისთვის, მაღალი მოტივაციით და სავსე ენერჯით გადაეცეს მომდევნო თაობებს. თუმცა, ამავე დროს რბილად, რომ ვთქვათ, დასანანი იყო დე, რომ შენს სახელმწიფოში

გვ უკუგვანთ, გვანთ, გვანთ, გვანთ, გვანთ, გვანთ, გვანთ!

მალჩინოსნების ხელფასების ზრდის ფონზე, რომელსაც, ალბათ, თითოეული თქვენგანი ძალიან დიდი გულისტკივილით ადევნებთ თვალყურს, სახელმწიფოსგან საკუთარი ბედის ანაბარა არის მიტოვებული პენსიონერი. ჩვენ ასევე, სამწუხაროდ, ძალიან კარგად ვიცით ლარის გაუფასურებისა და ფასების ზრდის გამო, თქვენმა ისედაც ძალიან მწირმა პენსიამ თავისი მსყიდველობითუნარიანობა დაკარგა და დღეს



თქვენ იმაზე ნაკლებ პენსიას იღებთ, ვიდრე წლის წინათ იღებდით. ჩვენ ასევე ძალიან კარგად ვიცით, თუკი ვინმეს ძალიან მტკივნეულად დაარტყა ფასების ზრდამ და ლარის გაუფასურებამ, ეს ხართ თქვენ - პენსიონერები. ვიცი, რომ შემოსავლის უდიდესი ნაწილი იხარჯება გაზრდილ კომუნალურებზე და გაზრდილ ფასებზე. რა თქმა უნდა, იბადება კითხვა, რას აკეთებს დღეს ხელისუფლება? რას აკეთებს დღეს „ქართული ოცნება“? მიუხედავად იმისა, რომ თქვენი პენსია მნიშვნელოვნად კარგავს მსყიდვე-

ლობითუნარიანობას, „ქართული ოცნება“ მიმდინარე წელს, არც კი აპირებს პენსიის მატებას არც ერთი თეთრით. შეგახსენებთ, რომ მთელი 6 წლის განმავლობაში, „ქართული ოცნება“ მხოლოდ 30 ლარით გაზარდა პენსია და მთელი ეს 30-ლარიანი ზრდა თავიდან ბოლომდე შეჭამა უკვე ინფლაციამ, ანუ ფასების ზრდამ.

* * *
ნიკანორ მელიას ამ დანაპირებში რამდენიც სიტყვაა, იმდენი ტყუილია. ხელისუფლებაში დასაბრუნებლად რას არ კადრულობენ ეს არამზადა ნაციონალეა!
არ მოტყუვდით, კვირფასო პენსიონერებო!

ომისა და სამხედრო ხელოვნების შესახებ

მაკინაველი* გვასწავლის, როგორ მარდად უნდა წავრმართოთ ომი. ჩემთვის კი ერთი რამ ხერხია ცნობილი – უძლიერესი უნდა ვიყო!..

მხედართმთავარი ხელმძღვანელობს საკუთარი გამოცდილებით ან გენით, ხოლო ტაქტიკა, საინჟინრო და სარტილერიო მეცნიერებანი კი გეომეტრიის მსგავსად წიგნებიდან შეიძლება შევისწავლოთ; მაგრამ სამხედრო ხელოვნების უმაღლეს ნაწილთა ცოდნას შევიძენთ ოდენ განაფულობით და დიდი მხედართმთავრებისა და სამხედრო ისტორიის შესწავლით. განა მარტო გრამატიკის წყალობით შეიძლება „ილიადასა“ და კორნელის ტრაგედიის შეთხზვა?

შეტიპიტი ომები უნდა წარმოებდეს, როგორც აწარმოებდა ალექსანდრე**, ჰანბალი, კეისარი, გუსტავ ადოლფი, ციურენი, ევგენი სავოიელი და ფრიდრიჰი; ნაიკითხეთ და შეისწავლეთ იმათი მკაშქრობა... აი, ერთადერთი იმის საშუალება, რომ დიდი მხედართმთავარი გახდეთ და სამხედრო ხელოვნების საიდუმლოებათა შიგან შეაღწიოთ. ესეგვარად განათლებული გონება უკუაგდებს ყოველ იმ წესს, ხსენებულ დიდ კაცთა არცრა მოქმედებას რომ არ ეთანხმება.

ცუდია, უკეთუ ახალგაზრდები სამხედრო ხელოვნებას წიგნებით ეუფლებიან: ეს ცუდი გენერლების აღზრდის უტყუარი საშუალებაა.

ეპროპის მონარქებმა საკუთარი არმიები ჩემი ნიშნისა და მიხედვით შექმნეს, მაგრამ იმათი მეთაურობაც უნდა შეგეძლოს, სხვანაირად არ გამოვა.

მთელი სამხედრო ხელოვნება სტრატეგიულ მანევრებზე გადავიყვანე, რამაც ჩემს მონინააღმდეგეთა წინაშე უპირატესობა მომცა. ყველაფერი იმით გასრულდა, რომ მათ ჩემი მეთოდის გადაღება დაიწყეს. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ცვდება.

ბამარჯვებამ მიწყვიტების ღირსია, მიუხედავად იმისა, რას მიყვარათ იქამდე – იღბალს თუ მხედართმთავრის ნიჭს.

1815 წელს, ჩემი ტახტიდან გადადგომის შემდეგ, მტრის განადგურება ჯერეთ კიდევ შეიძლებოდა. მე სარდლად დანიშნა შევთავაზე და ამასთანავე არცრა პირადული ფიქრადაც არა მქონია.

პირველი თვისება, რაც გენერალს უღიმღამოზე მალა აყენებს, გონები-სა და ხასიათის წონასწორობაა, ანდა ვაჟუკაცობა. უკეთუ ვაჟუკაცობა სჭარბობს მასში, მაშინ თავის მოსაზრებათა შესრულებისას მცდარად წავა კიდევ უფრო შორს, ვიდრე განზრახული ჰქონდა; და, პირიქით, სიყოჩაღე და სიმამაცე არ ეყოფა თავისი გეგმების მოქმედებაში მოსაყვანად, უკეთუ გონება ბატონობს ხასიათსა და ვაჟუკაცობაზე.

რბ იშვიათად ვხვდებით ჭეშმარიტ სულიერ გულადობას; გულადობა ნაშუალამევის ორ საათზე; გულადობა, რომელიც მოულოდნელ შემთხვევებში არ ავიწროებს გონების, მოსაზრებათა და განზრახვათა თავისუფლებას!

ბულოვნობა პირობითი ხურდა ფულია: ვინც სიკვდილს გაკადნიერებული ეძებს მტრის რიგებში, ჯალათის მახვილის წინაშე კანკალებს; ისევე როგორც ყალბი ჟეტონები, ნამდვილი გულგონებიც ისე ტრიალებენ, ისე მიმოიქცევი-

* ნიკოლო მაკიაველი (1469-1527) – ჰუმანიზმის ეპოქის იტალიელი მოაზროვნე, პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

** მაკედონელი

ასე ამბობდა ნაპოლეონი ქართულად გადმოაქნა ბურაბ მოზიაშვილმა

ან. სიმართლე თუ გინდათ, გულოვნობა თანდაყოლილი თვისებაა – ის არ შეიძლება.

სარდლობის ერთიანობა ომში პირველ აუცილებლობას წარმოადგენს, არმიის ძალები ერთობლიობაში უნდა იყვნენ; ბრძოლის ველზე შეძლებისდაგვარად ყოველი ხელსაყრელი გარემოებით უნდა ისარგებლო და რაც შეიძლება მეტ ლაშქარს უნდა მოუყარო თავი, რამეთუ ფორტუნა ქალია; ბედნიერებით ხელი მოითბე დღეს და იმედი ნუ გექნება, რომ ხვალ ის კვლავ გაგიღიმებს.

უკეთუ ბრძოლაში ჩაბმას ეპირები, აუცილებელია ყველა შენი ლაშქრის თავმოყრა და მხედველობიდან არ უნდა გამოგრჩეს თვით უმნიშვნელო რამ ნაწილიც კი: ხშირად ერთი ბატალიონი წყვეტს ბრძოლის ბედს.

ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წესი, რომ-

არცერთ ძველი თუ ახალი დროის მხედართმთავარს არ მიუღწევია ასე მოკლე დროში მსგავსი წარმატებისთვის. სტენდალი

მელიც იშვიათად ირღვევა დაუსჯელად, ის არის, რომ დაბანაკებულ ლაშქართ ერთად მოუყარო თავი მტრისგან ყოველის უფრო დაშორებულ და უხიფათო პუნქტში.

ბრძოლის ხვედრი ერთი წუთის, ერთი აზრის შედეგია: მონინააღმდეგენი სხვადასხვაგვარი გეგმებით უახლოვდებიან ერთმანეთს; საქმე დამში მოდის, ბრძოლა ფიცხელდება; დგება გადაწყვეტი მომენტი – და მარჯი აზრი, ელვისებურ უეცარი, წყვეტს ბრძოლის შედეგს. ყოველის უფრო უმნიშვნელო რეზერვს ხანისად არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოაქვს.

ლაშქარნი შეერთებულნი უნდა გვყავდნენ, რამეთუ ეს ალაფრთოვანებს იმათ და ნდობას უნერგავს იმ საქმის მიმართ, რის გულისთვისაც საგრობენ: ისინი იმ საქმეს მთავარ საზრუნავად იხდიან და მტკიცედ ებეჯითებიან.

მხედართმთავრის ჭეშმარიტი სიბრძნე მტკიცე გამბედაობაა.

ბრძოლაში არის ისეთი წამი, რომელშიც უკნინესი რამ მოძრაობა გამარ-

ჯვებას მოიყოლებს: ეს ის წყლის წვეთია, ჭურჭელს რომ პირთამდე ავსებს, ალიცილიცებს.

ზომიერთი გარემოება წვრილმანი გეგონია, მაგრამ ეს წვრილმანი სამხედრო გენიის ნიშან-თვისების არსია.

ჩემი აზრით, ერთი ბედოვლათი გენერალი ორ კარგს სჯობს. ომი, როგორც ყოველი მმართველობა, ტაქტის საქმეა.

ომის წარმოებისთვის განსაკუთრებული ტაქტიკა საჭირო: წინათვე უნდა შეაფასო, ვისთან გაქვს საქმე.

ომის წესი მოითხოვს, არმიის ერთმა დანაყოფმა თავი აარიდოს ბრძოლას მთელ არმიასთან, რომელიც ერთხელ უკვე წარემატა.

გაუბედავად, გულმხდალად და, ასე ვთქვათ, ხელის ცეცებით მოქმედება ყოველის უფრო მავნე რამ არის ომში.

არცერთ ძველი თუ ახალი დროის მხედართმთავარს არ მიუღწევია ასე მოკლე დროში მსგავსი წარმატებისთვის. სტენდალი

ხანისად ისეთი მომენტებია, როს გამარჯვება მსხვერპლს მოითხოვს და შენივე ხომალდების დაწვა გიხდება.

მხედართმთავარმა ყოველდღიურად და არაერთგზის უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს: „რა უნდა ვიღონო, უკეთუ მტერი ფრონტის წინ გამოჩნდა, მარჯვენა ან მარცხენა ფლანგზე?“ თუკი ერთი ამ კითხვათაგანი საკონებელში ჩააგდებს იმას, მაშასადამე, მცდარად განლაგებულა და შეცდომა უნდა გამოასწოროს.

უკეთუ სამხედრო ხელოვნებისდა მიხედვით ყოველთვის საჭირო იქნებოდა უხიფათო მდგომარეობაში ჩადგომა, მაშინ დიდება უღიმღამო ადამიანების ავლადიდება გახდებოდა.

არ დაესხათ ფრონტიდან პოზიციებს, რომელთა ალუბაც შემოვლით შეგიძლიათ.

უსიფათოდ გამარჯვება უსადიდებლოდ ზეიმია.

წუ იზამთ იმას, რაც მტერს უნდა,

მარტოდენ იმიტომ, რომ იმას ეს უნდა; ერიდეთ იმ ბრძოლის ველს, რომელიც იმან მიათვლიერ-მოათვლიერა, შეისწავლა და მეტიც – რომელზეც გამაგრდა და ჩასანგრდა.

კამპანინის გეგმების შეცვლა უსასრულოდ შეიძლება, გააჩნია გარემოებებს, მხედართმთავრის ხელოვნებას, ჯარისა და ადგილმდებარეობის ხარისხს, მაგრამ საერთოდ ეს ცვლილებები ორი სახისაა: კარგი და ცუდი; ხანისად პირველი ცვლილებების ხორც-შესხმა არ ხერხდება გარემოებათა დამთხვევის გამო, ხანისად უკანასკნელთ წარმატება მოაქვთ ფორტუნის ახარებისდა გამოისობით.

სამთო ომში მუდამ ის არის წაგებული, ვინც უტევს, ამიტომაც სუყოველ მოქმედებას თვითონ შემტევსასაც, მიზნად ის უნდა ჰქონდეს, რომ თავი დაიკავას და მონინააღმდეგე შეტევაზე გადმოსასვლად აიძულოს.

სამთო ომის ერთ-ერთი წესია: არცროდის არ დაესხას თავს იმ ლაშქართ, რომელთაც მტკიცე პოზიციები უჭირავთ მთებში, პირიქით, უნდა იძულებით დაატოვებინოს ის თავიანთი პოზიციები, თვითონ კი დაიკავოს ბანაკები ფლანგებზე ანდა იმათ უკან.

წუ მიმართავთ ფრთის მოძრაობას მტრის არმიის წინ, რომელიც პოზიციასა, მეტადრე სიმალეები თუ უჭირავს, რომელთა ძირასაც უნდა გაიართოთ.

წუ დატოვებთ საბრძოლო ხაზის სხვადასხვა კორპუსებს შორის ინტერვალებს, რომლებშიც მტერს გავლა შეუძლია.

თავდაცვითი მდგომარეობიდან შეტევაში გადასვლა ერთ-ერთი ყოველის უფრორე საძნელო საქმეა ომში.

ბროლინოს ველზე ბრძოლა ერთი იმ ბრძოლთაგანი იყო, სადაც არაერთ უჩვეულო ძალისხმევას ყოველის უფრო არადაამაკმაყოფილებელი შედეგები ჰქონდა.

ლუდოვიკო XIV ფრანშ-კონტე*** ზამთარში აიღო, მაგრამ ის არცროდის არ იბრძოლებდა მოსკოვთან ნოემბერში.

რბც უფრო მეტად წარმატები, მით უფრო მეტი სისწორე და სიზუსტე უნდა იყოს სამხედრო სამსახურის ყოველ დარგში.

ჯარისკაცის უპირველესი თვისებაა ყოველგვარი ჯაფისა და გაჭირვების ატანის უნარი, მეორე – სიმამაცე.

მამაცი, მაგრამ გამოუცდელი ჯარისკაცი საუკეთესო წინაპირობაა გამარჯვებისთვის. თუ თითო ფიალა არაყსაც დაუმატებთ ბრძოლაში ჩაბმამდე, დარწმუნებული იყავი მტრის ძლევაში.

არცრა რიცხოზობრივად ისე არ ამრავლებს ბატალიონებს, როგორც წარმატება.

რომელნი ლაშქარნი უნდა მივიჩნიოთ საუკეთესოებად? ისინი, ვინც ბრძოლებს იგებს.

ზომიერთი სამხედრო ხელმძღვანელის დასჯას სამართლიანობაც უშვებს და პოლიტიკაც. მნიშვნელოვანი წესი უნდა იყოს – კარგად ვეცეოვდეთ ტყვეებს.

სანახაშობანი ფრიად საჭიროა როგორც ჯარისთვის, ისე რომელიმე ქვეყნის ზნე-ჩვეულებათა სრულყოფილებისთვის.

*** ფრანშ-კონტე – თანამედროვე საფრანგეთის რეგიონი. საუკუნეთა მანძილზე ეს მიწა-წყალი განუთქილებს ვაშლი იყო საფრანგეთსა, ესპანეთსა და შამპურს შორის. ამ რეგიონის ერთ-ერთ დემარტამენტში – იურა – ცალკეულ მთის რაიონებში ტემპერატურა ზამთარში -30 დაბლა ეშვება.




სად, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

1968 წლის 8 მარტი

წინა ოკეანეში, ჰავაის კუნძულების ჩრდილოეთით, აფეთქდა საბჭოთა დიზელ-ელექტრონული წყალქვეშა ნავი K-129, რომელზეც სამი ბალისტიკური რაკეტა P-21 იყო ბირთვული ქობინებით. დაიღუპა მთელი ეკიპაჟი, ოფიციალური მონაცემებით — 98 კაცი, კატასტროფის მიზეზად რაკეტა P-21-ის ძრავათა აშუშავება იქცა.



1938 წლის 13 მარტი

მოსკოვში დასრულდა ე.წ. ანტისაბჭოთა მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკის სასამართლო პროცესი. მთავარი ბრალდებულები იყვნენ ნიკოლაი ბუხარინი და ალექსეი რიკოვი. 18 კაცს სიკვდილი მიესაჯა.

1946 წლის 15 მარტი

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გარდაქმნის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდ და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებად გარდაქმნისა.

1921 წლის 16 მარტი



მოსკოვში ხელი მოეწერა „მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებას“ რსფსრ-სა და თურქეთს შორის, რომლის თანახმადაც თურქეთს გადაეცა მანამდე რუსეთის იმპერიაში შემავალი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი, ყარსის ოლქი.

1822 წლის 16 მარტი

რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო საკრებულომ დაადგინა: ქართველი საეკლესიო და სათავადო აზნაურები უფლებრივად გაუთანაბრდნენ სამეფო აზნაურებს, თუ ისინი შესული არიან გეორგიევსკის ტრაქტატზე დადრთულ ქართლისა და კახეთის თავადაზნაურების საიაში. ის აზნაურები, რომლებიც ამ საიაში არ იხსენიებოდნენ და არც მეფისაგან ბოძებული აზნაურობის სიგელი ჰქონდათ, რუსეთის იმპერიის „დგორიანის“ წოდებას, ვერ მიიღებდნენ.

1934 წლის 19 მარტი

საბჭოთა მეურნეობის 46 წლის მუშა მითროვან ნიკიტინმა ნაგანიდან ტყვია დაუშინა ლენინის სარკოფაგს მავზოლეუმში.



ამ ტრიალ ძვეყანაზე... ვადასტურებთ უკრაინის სუვერენიტეტს...

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ყირიმის ანექსიის ოთხ წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„ოთხი წლის წინათ რუსეთის შეიარაღებული ძალების ზეწოლით ყირიმში ჩატარდა ე.წ. რეფერენდუმი, რასაც მოჰყვა ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქი სევასტოპოლის უკანონო ოკუპაცია და ანექსია რუსეთის ფედერაციის მიერ. ამით სრულად იქნა უგულებელყოფილი უკრაინის კონსტიტუცია და კანონმდებლობა ისევე, როგორც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმები და პრინციპები.“

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ მკაცრად გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ სევასტოპოლის დროებით ოკუპაციას და უკანონო ანექსიას, უკრაინის სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიას და საზღვრების ძალისმიერი შეცვლის მცდელობას, რაც ჩვენს ქვეყანას საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. ოკუპაციისა და ანექსიის ეს პრაქტიკა ძირს უთხრის დამკვიდრებულ საერთაშორისო წესრიგს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. დღეს, როგორც არასდროს, უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო თანამეგობრობის მტკიცე, კონსოლიდირებული პოზიცია, რათა წინ აღვუდგეთ სუვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმდინარე აგრესიას და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედებით შევძლოთ მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ადგილზე.“

ბიბილოვი სპარატიტულ ბიბილოს ცუდად ათამაშებს

სამხრეთ ოსეთი დროულად უნდა გაერთიანდეს ჩრდილოეთ ოსეთთან და რუსეთის შემადგენლობაში შევიდეს — ეს განცხადება საოკუპაციო რეჟიმის ლიდერმა ანატოლი ბიბილოვმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთან შეხვედრაზე და ოკუპირებულ ცხინვალში ვლადიმერ პუტინის მხარდამჭერ კონცერტზე გააკეთა. საოკუპაციო რეჟიმის



ლიდერი აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთი, რაც შეიძლება დროულად უნდა გაერთიანდეს ჩრდილოეთ ოსეთთან და რუსეთის შემადგენლობაში შევიდეს. ანატოლი ბიბილოვმა ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობას 18 მარტს დაწინაურებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე ვლადიმერ პუტინის მხარდაჭერის კენ მოუწოდო.

აზერბაიჯანელებთან და სომხებთან შელაპარაკობით...

ქართველი რესპონდენტებიდან, რომლებსაც საზღვარგარეთ დროებით მუშაობა სურთ, ყველაზე მეტი აშშ-ს (18%) ასახელებს სასურველ ქვეყანად, დიდ ნაწილს სურს გერმანიაში მუშაობა (15%). რუსეთი ქართველების ფავორიტ 5 ქვეყანას შორისაა. თუმცა, მესამე ადგილზეა და ამ ქვეყნებს შორის, ქართველებისთვის შედარებით ნაკლებად სასურველი ადგილია სამუშაო (7%).

IPM კვლევების მიხედვით, სომხების იმ ნაწილისთვის, რომელსაც სხვა ქვეყანაში მუშაობის სურვილი აქვს, ფავორიტი ქვეყანაა რუსეთია (23%). მათი დიდი ნაწილისთვის აშშ-ც მიმზიდველი ქვეყანაა დროებითი სამსახურისთვის

(18%). აღსანიშნავია, რომ თურქეთი მხოლოდ აზერბაიჯანელი რესპონდენტებისთვის არის სამუშაოდ განსაკუთრებულად მიმზიდველი ქვეყანა (26%). აზერბაიჯანელების 14% რუსეთში, 12% კი გერმანიაში მუშაობის სურვილს გამოთქვამს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველების უმრავლესობამ საზღვარგარეთ მუშაობის სურვილი გამოთქვა, როგორც აღმოჩნდა, რეგიონის ქვეყნებთან შედარებით, მათ ყველაზე ნაკლებად სურთ სხვა ქვეყანაში მუშაობა (36%).? კვლევაში, რომელიც IPM-მა ჩაატარა და WOM-მა გამოაქვეყნა, თითოეული ქვეყნის 1200-ზე მეტმა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა.

„როგორ გავყილოთ ომი“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „ანარმომ საქართველოში“ პროგრამის „გადავიღე საქართველოში“ ფარგლებში, კიდევ ერთი ახალი ფილმის გადაღებები განხორციელდება. „როგორ გავყილოთ ომი“ (How to sell a War) — ასე ჰქვია მხატვრული ჟანრის ფილმს, რომელზეც ქართული საპროდიუსერო კომპანია — „20 Steps Productions“ მუშაობს.

ფილმის რეჟისორია გერმანელი, წამყვანი საერთაშორისო დოკუმენტური ფილმების პროდიუსერი რუდოლფ ჰერცოგი, რომლისთვისაც ამ ფილმზე მუშაობა მხატვრული ჟანრში დებიუტი იქნება. ქართველ და უცხოელ მსახიობებთან ერთად ფილმის ერთ-ერთ მთავარ როლს ცნობილი ბრიტანელი მსახიობი კატერინა პარკინსონი (Katherine Parkinson) შეასრულებს.

ფილმის სიუჟეტი იწყება ლონდონში, სადაც რამდენიმე დღეში მშვიდობის გლობალური საქველმოქმედო კონცერტი უნდა გაიმართოს რუსეთ-საქართველოს ომის წინააღმდეგ. ესაა მშვიდობის

დასახმარებელი ღონისძიება, რომელიც მოიცავს უამრავ ქალაქს. ეს არის ყველა დროის ყველაზე დიდი წარმოდგენა, გაშუქებული გლობალური მაუწყებლობით. ამ ყველაფრის საჯაროდ ორგანიზება ახარია პიარ მენეჯერს ქეთის, რომელიც მუშაობს განდიდების მანიით შეპყრობილ ცნობილ შოუმენზე, ჰარი ჰოუპზე. როდესაც რუსეთის სამხედრო ლიდერი „ბორის ყასაბი“ აცხადებს, რომ შუალამისას შეწყდება ცეცხლი, ქეთი ხვდება, რომ ეს ნეგატიურად იმოქმედებს მათზე და განადიდოული კონცერტი „ომი ომის წინააღმდეგ“ ომის გარეშე ჩაიშლება. ქეთი და მისი ჯგუფი ჯდება უახლოეს რეისზე საქართველოს მიმართულებით, რათა ხელი შეუშალოს ომის შეწყვეტას. აღსანიშნავია, რომ ფილმის გადაღებები, რომელიც 16 მარტს დაიწყო, აპრილის ბოლომდე გაგრძელდება და 1200-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება, ხოლო ფილმის ლოკაციების სპეციფიკიდან გამომდინარე, გადაღებებისთვის საკმაოდ საინტერესო ადგილები თბილისის, კასპისა და კოჯრის მიმდებარე ტერიტორიები შეირჩა.



ტრამპმა უკვე შეარჩია, თუ ვინ დატოვებს თეთრ სახლს...

აშშ-ს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აპირებს თანამდებობიდან დაითხოვოს თავისი მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პერბერტ მაკმასტერი.

სავარაუდოდ, მაკმასტერი აღნიშნულ თანამდებობას სწრაფად არ დატოვებს, რადგან ტრამპს არ სურს მისი „დამცირება“ — იუნყება The Washington Post-ი. გარდა ამისა, პრეზიდენტს სურს, მაქსიმალურად სერიოზულად მიუდგეს მისი შემცვლელის კანდიდატურას.

რაც შეეხება მიზეზებს, თუ რატომ გადაწყვიტა ტრამპმა მისი გუნდისგან ჩამოშორება, აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტს არ მოსწონდა „გენერლის ძალზე ქალური მიდგომები და მისი ხანგრძლივი და საქმესთან კავშირში არმქონე ბრიფინგები“.

ლონდონი პრავს დასაბრუნებს სოსოვს...

ბრიტანეთის ხელისუფლებამ არაფორმალურად მიმართა ჩეხეთს თხოვნით, დიპლომატიური გზებით ჩაერთონ ანტირუსულ სანქციებში სერგეი სკრიპალის და მისი ქალიშვილის მონამვლის საქმის გამო.

„ჩვენი ინფორმაციით, დიდმა ბრიტანეთმა დიპლომატიური არხების მეშვეობით, არაფორმალურად მიმართა ჩეხეთის ხელისუფლებას. მათ სთხოვეს რამდენიმე მინისტრს, შეეძლოთ თუ არა ჩეხეთს ასევე გაეწვია რუსი დაზვერვის ზოგიერთი თანამშრომელი, რომელიც დიპლომატიური მფარველობით მოქმედებდა“.

ქლიპი აუთიქაბ ატომურ ელექტროსადგურთან

ბელგიის ქალაქ ანტვერპენში გვიან ღამით ორი ძლიერი აფეთქება მოხდა. მედიის ინფორმაციით, აფეთქების შედეგად ახლოს მდგომი 14 მანქანა განადგურდა, ასევე ორი საცხოვრებელი სახლის ფასადი დაზიანდა. ანალოგიური შემთხვევა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში 15 მარტსაც მოხდა. ამ შემთხვევაში ატომურ ელექტროსადგურთან ახლოს მდებარე მანქანების სადგომთან აფეთქების შედეგად 20-მდე ავტომობილი დაინვა.

სამართალდამცველების ვარაუდით, ავტომობილებისა და შენობების დაწვის სერია დანაშაულებრივ ჯგუფებს შორის დაპირისპირებას უკავშირდება, რომელიც ნარკობაზარზე გაველნათა სფეროების გადახანტილებას ეხება.

ოთხი ადამიანი ხილვა დაიტანა

მაიაში საფენმავლო ხიდის ჩამოშლას (ფლორიდის შტატი) სულ ცოტა ოთხი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო ათი საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ამ დროისთვის მხოლოდ ოთხი გარდაცვლილის სხეულია აღმოჩენილი, თუმცა სამძებრო სამუშაოები და ნაგრევების დათვალიერება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ხელისუფლება არ გამორიცხავს, რომ მსხვერპლის რიცხვი გაიზარდოს.



რაგბი ჩვენი თამაშია!

დიდი ბრძოლის წინ

2018 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ფინალის წინ, რომელიც ხვალ „დინამო არენაზე“ 16 საათზე დაიწყება, „ბორჯღალოსნებმა“ „შეგარდენის“ სანაკრებო ბაზაზე ღია ვარჯიში გამართეს.

დაახლოებით 1-საათიანი ინტენსიური წვრთნის შემდეგ, მასპინძლებმა მომავალ შეხვედრაზე ჟურნალისტებთან ისაუბრეს.

შეტყვის მწვრთნელმა რიჩარდ გრემმა რუსეთთან გამართული მატჩი შეაფასა და მომავალი ბრძოლის მოლოდინებზე ისაუბრა:

„რუსეთში ძალიან ცუდ პირობებში მოგვინია თამაში – ქარი, წვიმა და, შესაბამისად, პირველ ტაიმში ხარისხი უკეთესი ვერ გვექნებოდა. შესვენების შემდეგ ამ პირობებს შევეგუეთ და გასვლითი მატჩისთვის

ზადებით. ვფიქრობ, საუკეთესო კონდიციონებში ვართ და კვირას საუკეთესო თამაშს ვაჩვენებთ. არავის ვაკნინებ, თუმცა, რუმი-ნეთთან მოედანზე სხვა განწყობით გავალთ. მეტოქე კარგი გუნდია, მათთან მუდამ დაძაბული ბრძოლები გვაქვს და რაც უფრო ძლიერია მოწინააღმდეგე, ჩვენი განწყობაც მით უფრო მაღალია“.

გიორგი კვეციელაძე ნაკრების შედარებით ახალი წევრია და რუმინელთა წინააღმდეგ პირველად ითამაშებს:

„მომავალ დუელს მოტივირებულები ვხვდებით. წინა ოთხი თამაში ძალიან კარგად დავასრულეთ. შესაძლოა, ხარისხი ისეთი არ გამოვიდა, როგორც ვისურვებდით, მაგრამ რუმინეთთან ფაქტობრივ ფინალზე ვეცდებით, რომ ხარისხიც ავწიოთ და გამარჯვებაც ვიხეიოთ. სასიხარულოა,

გადამწყვეტ მატჩს სასტარტო შემადგენლობაში რომ ვინც და იმედი მაქვს, რომ მწვრთნელთა და გულშემატკივართა მოლოდინს გავამართლებ“.

კარგი თამაშის მოლოდინშია და გულშემატკივარს სტადიონზე მისვლისკენ მოუწოდებს



ძალიან კარგი შედეგი ვაჩვენებთ.

პრინციპული შესხვედრისთვის კარგად მოსამზადებლად ძალიან კარგი 6-კვირიანი კამპანია გვქონდა. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ბიჭები რამდენიმე დღე დავასვენეთ და მომავალი ჯახისთვის დავინყეთ ვარჯიში. კარგად გვესმის, რომ რუმინეთი ბონუს ქულით მოსაგებად ჩამოდის, რათა რაგბი ევროპის ჩემპიონობა შეინარჩუნოს, თუმცა, ჩვენ მათ კარგად მომზადებულები დაესხვებით“.

ბექა წიკლაური ამბობს, რომ მთელი რაგბი ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას „ბორჯღალოსნები“ რუმინეთთან მატჩზე ფიქრობდნენ და 18-ში თამაშის ხარისხი მაღალი იქნება:

„მეზუთე კვირაა, ამ თამაშისთვის ვემზადებით. მართალია, ამ პერიოდში 4 შესხვედრა ჩავატარეთ, მაგრამ გონებაში სულ რუმინეთი გვქონდა. მეტოქემ შარშან ბუქარესტში მოგვიგო და რევანშის ასაღებად ვემ-

ვითო კოლეგისგან:

„კარგი ამინდები და გვემთხვა, სახლში ვართ და შესანიშნავი განწყობა გვაქვს. შარშან „ანთიმოზ ივერიელის თასი“ რუმინეთში დარჩა, ამიტომ ის აუცილებლად დასაბრუნებელი გვაქვს და მოტივაციაც შესაბამისია. თამაში „დინამო არენაზეა“, იმედი, კარგი ამინდი იქნება და ვთხოვ გულშემატკივარს, რომ ტრიბუნები ბოლომდე შეავსოს. ჩვენი მხრივ ვპირდებით, რომ კარგ თამაშს ვაჩვენებთ და თასსაც დავიბრუნებთ.“

რუმინეთს ძალიან ბევრი ნატურალიზებული მოთამაშე ჰყავს. მართალია, მათ ერთი თამაში დათმეს, მაგრამ მაინც მოტივირებულები გამოვლენ, რადგან ჩვენთან გამარჯვებით „ანთიმოზ ივერიელის“ და რაგბი ევროპის ჩემპიონატის თასს შეინარჩუნებენ. ტრადიციულად, რთული თამაში იქნება და ვინც უკეთ მოემზადება, ის გაიმარჯვებს.“

კობა კობახიძე

თაობა

ჩინებულად დაინყეს



საძარბაველოს 15-წლამდელთა ნაკრები წარმატებით ჩაერთო ევროპის ლიგის გათამაშების მე-3 წრეში. როგორც გაცნობებთ, ევროტურნირის დასკვნით ეტაპს ლატვიის დედაქალაქი რიგა მასპინძლობს, სადაც ჩვენი გუნდი 5 მატჩს გამართავს. პირველი მეტოქე გახლდათ პოლონური „როსა პოლკოვკა“. საქართველოს ნაკრებმა მეტოქეს დიდი უპირატესობით – 66:21 სძლია.

ჩვენს გუნდში 12-ივე კალათბურთელმა ითამაშა, რომლებსაც მწვრთნელმა – ალექსი ვაფარიძემ და დიმიტრი ჯაკობოვიამ დრო მეტ-ნაკლებად თანაბრად გადაუნაწილეს. 10 ქულით ბომბარდირი გახდა ელგუჯა ხვედელიძე, 8-8 ქულა გიორგი მოსიაშვილმა და გიორგი ფურცხვანიძემ დააგროვეს, სამმა კალათბურთელმა – ნუგზარ ბოჭორიშვილმა, ლუკა ხუციშვილმა და გიორგი გუგუციძემ 7-7 ქულა მიითვალეს, ლუკა ლიკლიკაძემ კი შესხვედრა 6 ქულით – 3 პასით დაასრულა.

ვიტალი ჯაფარიძე

სუმო



სამკვიპაძე ტორინოში მარტის ბაზოზე ზედიზედ მეორე, სულ კი მეოთხე გამარჯვება მოიპოვა და დადებითი ბალანსი ორ ქულამდე გაზარდა. ლევან გორგაძე მეექვსე ტურში პირველ მაგაშირას – იაპონელ

ტორინოში კობანაბა და მეოთხე ქულა

შოთა ენდოს დაუპირისპირდა და ულამაზესი გდებით, ზურგზე დაანარცხა. სუმოს ენაზე ამ ილეთს კოტენაგე ეწოდება, ძიუდოში – იპონი. ტორინოში და ენდო აქამდე ერთმანეთს ხუთჯერ დასჭიდებინა და ქართველი სეკიტორის ანგარიშზე მხოლოდ ორი მოგება იყო.

მეშვიდე ტურში ჩვენი თანამემამულე მეორე მაგაშირას – მონლოლ არავაშის შეებრძოლება, რომელთანაც ოთხი შესხვედრიდან ორი აქვს მოგებული.

ტორინოში მსგავსად, 4:2 ბალანსით აგრძელებს ბაშოს ჯურიო დივიზიონში მოჭიდავე გაგამარუ – თეიმურაზ ჯუღელი, რომელიც გუშინ ლიგის მეორე ნომერთან – ჰომარეფუჯისთან გამარჯვდა.

კახან დოლიძე

ჩემპიონთა ლიგა

სისხლი აწი ნახეთ



ბუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უფას შტაბ-ბინაში გამართულ კონფისერაზე ჩემპიონთა ლიგის 1/4 ფინალში გასული გუნდები „დახარისხდნენ“. ნახევარფინალის საგზურს შემდეგი 4 წყვილი გადაითამაშებს:

„ბარსელონა“ – „რომა“, „სევილია“ – „ბაიერნი“, „იუვენტუსი“ – „რეალი“;

„ლივერპული“ – „მანჩესტერ სიტი“. აქვე გეტყვით, რომ მეოთხედფინალური ეტაპის პირველი მატჩები 3 და 4 აპრილს მოეწყობა, განმეორებითი შესხვედრები კი ერთ კვირაში – 10 და 11 აპრილს. წყვილში პირველად ამოსული გუნდი პირველ მატჩს საკუთარ მოედანზე ჩაატარებს.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

გზა საჩუქარად

ბერმანიში ხმა გავარდა, ბასტიან შვაინშტიგერს თავისი ცოლი, მეროგნე ანა ივანოვიჩი მიუტოვებია და საწოლში ცნობილ მოდელს კარმენ ბრუნდლერს ჩაგორებიაო. ეს ჭორი ცხადია, უმაღლესი აიტიცეს იქაური ბულვარული პრესის კორიფეებმა და იმდენი კუდი მოაბეს, მართალიც რომ არ ყოფილიყო, ეჭვი შეგებარებოდა.

ცალკე ბასტიანმა და ცალკე მისმა მეუღლემ, ამ ამბის გასაქარწყლებლად ჟურნალისტებს უხმეს და უარყვეს. ბასტიანმა მხოლოდ ის აღიარა, რომ კარმენ ბრუნდლერს ნამდვილად იცნობს, რამდენჯერმე შესხვედრია კიდეც, მაგრამ მათ შორის სასიყვარულო ძაფები არასოდეს გაბმულა.

კარმენს ამ ამბავზე არაფერი უთქვამს. მით უმეტეს, რომ იგი ალბათ უკვე მიჩვეულია მასზე გავრცელებულ ტყუილ-მართალ ამბებს და ასეთი ცნობილი და პოპულარული ტოპ-მოდელის სარეცლის ბედით ბულვარული მედია მუდმივად რომ ინტერესდება – არც ესაა უცნაური და გასაოგნებელი.

როსტომ რაჭველიშვილი



		გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოკამის მიმდებარე ტერიტორია, „ოკამის“ ვულკანური წილის საბადო (კატეგორია - C, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 50 540 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოკამის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	12 429 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%)	1 242,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	6 415 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 19 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 17 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 17 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 17 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №4		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	licenziabi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნუშულიდან დაბლისაკენ, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისადმი მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით. გ) ლიცენზიის მფლობელმა შესარულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოკამის მიმდებარე ტერიტორია, „ოკამის“ ვულკანური წილის საბადო (კატეგორია - B, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 51 940 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოკამის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	23 157 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%)	2 315,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	11 779 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 19 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 17 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 17 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 17 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №5		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	licenziabi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით; ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევნი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტერის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია; ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება; ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახევა და განხორციელება; ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით; თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის; ი) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში აკრძალულია გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, საშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა; კ) ლიცენზიის მფლობელმა შესარულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს; ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. სვენეთის მიმდებარე ტერიტორია, „სვენეთის“ კონგლომერატების (სხვა საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 12 900 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. სვენეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	3 141 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%)	314.1 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 713 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 19 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 17 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 17 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 17 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №6		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	licenziabi2015@gmail.com

4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.</p> <p>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დაზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.</p> <p>ე) ექსპლუატაციის დროს შეწყვეტილი პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.</p> <p>ვ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი საერთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.</p> <p>ზ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.</p> <p>თ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.</p> <p>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს ინვესტორს „აზულა“ ჰესის არეალში, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და მშენებლობის პერიოდში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;</p> <p>კ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხორენიას მიმდებარე ტერიტორია, „ხორენიას“ ბაზალტის (სხვა სახეის მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 6 030 მ ³)
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხორენიას მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	1 132 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%)	113,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	766 ლარი
